ერის მოამგე

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№9 (268)
15 დეკემბერი
15 იანვარი
2018

ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

სოსო სიგუა დაწერა უაღრესად საინტერესო წიგნი „მხატვრული აზროვნება, გენეზისი და სტრუქტურა“. წიგნში განხილულია მხატვრული აზროვნების ურთულესი პრობლემები.

ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

სოსო სიგუა

ძალაუფლების ნება და მეფე-ქურუმის არქეტიპი

ძალაუფლების ნების სიტყვიერ შემოქმედებად და ეროვნულ მრწამსად გარდასახვის თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევენ ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსაურდია.

ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ ასპარეზზე პოვა თვითგამოხატვა, რაც მხედრული ტრადიციების უარყოფა იყო.

საზოგადოებრივი ასპარეზი არც პოლიტიკაა და არც ხელოვნება. მაგრამ პატრიოტიკა, დამარცხებული სამშობლოს ბედი, მისთვის თავგანწირვა იწვევს სულიერ ძალთა მობილიზებასა და აზვირთებას, როგორც სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასათვის უმთავრესი იყო ესთეტიზმი და დამარცხებული სამშობლოს ბედისწერა.

ა) მეფე-ქურუმის მკვლელობა

ილია ჭავჭავაძე პოლიტიკოსი არ ყოფილა, თუმცა საამისო მონაცემები უხვად ჰქონდა — გვაროვნული და მხედრული წარმომავლობა, დიდი განათლება, ფხიზელი გონი, მასშტაბური ხედვა, ძლიერი ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი, მაგრამ ხელისშემშლელი ფაქტორი იყო რუსეთის იმპერია.

იგი ეროვნული სულის პიროვნება იყო, სამოქალაქო პირი, რომელიც თავისი ქვეყნის დამპყრობთა სამსახურში ვერ ჩადგებოდა, თანამოძმეთა დათრგუნვის ხარჯზე კარიერას ვერ გაიკეთებდა, როგორც ციციანოვი და ლორისმელიქოვი.

არაერთი მისი წინამორბედი ქართველი მწერალი რუსეთის არმიის გენერალი იყო (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი).

ისინი ახალ ასპარეზზე აგრძელებდნენ ძველქართულ მხედრულ ტრადიციებს, როგორც რუსეთში პეტრე ბაგრატიონი, განამტკიცებდნენ იმპერიის ძლიერებას.

მაგრამ ილია იმ თაობის წევრი იყო, რომელმაც მახვილი უარყო და კალამი აიღო, გენერლის ეპოლეტებს სტუდენტის სერთუკი არჩია. იმპერიას გენერალი სჭირდებოდა, მაგრამ კოლონიური ქვეყნის შვილი პოლიტიკოსი — არა.

ლიტერატურაში დიდ განახლებას წარმოშობს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძვრები. 60-იან წლებში ასეთი მოვლენა იყო ბატონყმობის ოფიციალური გაუქმება, რაც თავისუფლების პერსპექტივას სახავდა მოაზროვნე ახალთაობის წინაშე.

პეტერბურგიდან დაბრუნებულ ჭაბუკ ილიას კონსერვატიული, მიძინებული, უმოქმედო საზოგადოება დახვდა. ყველამ იცოდა, რომ რუსი დამპყრობელია, ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს, ბატონი ჩაგრავს ყმას, ქვეყანას გაზაფხული ენატრება, რომ იანიჩრობა დამღუპველია. მაგრამ როგორ შეეცვალა არსებული ვითარება? შეფასება ერთია, შეცვლა — მეორე.

ილიას იდეალი იყო ჯუზეპე გარიბალდი — იტალიის განმათავისუფლებელი გმირი, შემდეგ — ფრანგი კომუნარები, ე.ი. მეომარი, თუმცა რევოლუციონერობა არ უცდია.

პოლიტიკოსისა და რევოლუციონერის ტემპერამენტი პირველსავე ნაწერებში გამოავლინა, როგორც მწერალმა, ლიტერატორმა და პუბლიცისტმა.

მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ სიტყვა ვითარებას ვერ შეცვლიდა, რომ იმპერიას რღვევის ნიშანწყალი ჯერ მაინც არ დასტყობოდა, მოულოდნელად ჩამოსცილდა პრესას, ლიტერატურას, საზოგადოებრივ ასპარეზს, გახდა რიგითი ჩინოვნიკი.

ათწლიანი დუმილის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თბილისსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ არა როგორც მწერალი, არამედ — როგორც პრაქტიკული მოღვაწე, რომელმაც კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მთელი ქსელი შექმნა (სათავადაზნაურო ბანკი, პრესა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრალური საზოგადოება...).

ამ სფეროში გამოავლინა პოლიტიკური ნება, ძლიერი, დიქტატორული ბუნება, თვითმოქმედების პრინციპით საფუძველი ჩაუყარა მომავლის საქართველოს, რისთვისაც არც კონფლიქტებს მოერიდა, პოლემიკასა და დაპირისპირებას, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა (პოლემიკა სოციალდემოკრატ ნოე ჟორდანიასთან).

ილიას სწამდა, რომ ვერც პოლიტიკური კარიერა, ვერც მწერლობა, ვერც აჯანყება ქვეყანას თავისუფლებას ვერ მოუტანდა. ამიტომაც თვალსაზრისი შეიცვალა და აქცენტი გადაიტანა განმანათლებლურ მოღვაწეობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე, კლასთა შერიგებაზე, როგორც რეალურად მოაზროვნემ.

ეს იდეები რომ გაეტარებინა, ლოიალურად განეწყო მეფის ხელისუფლების მიმართ, რადგან იდეების რეალიზება მოითხოვს პრაგმატულ ხედვას, პრაგმატიზმი — კონფორმიზმს.

ეს იყო პროგრამა-მინიმუმი, ხოლო მაქსიმუმს მომავალი თაობები გააკეთებდნენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი და როცა რეალურად გაჩნდა სამშობლოს გათავისუფლების შანსი, არ დადგა აჯანყებულთა გვერდით.

ილიას ბუნებაში გარიბალდი (რევოლუციონერი) სძლია ქურუმმა (მოღვაწემ).

მიზეზი მხოლოდ ასაკი ან კონსერვატიზმი როდი იყო.

ილია პოლიტიკოსი არ იყო, რომ თავის პრინციპებს პრაგმატული მოსაზრებით შელეოდა, უარეყო ერის ინტერესების პირველადობა.

ილია ჭავჭავაძე ძალაუფლების ნების ტრანსფორმირებამ აქცია დიდ ეროვნულ მოღვაწედ, მაგრამ იმავე ძალაუფლების მოთხოვნილებამ ბოლოს მაინც პოლიტიკამდე მიიყვანა. ეს მაშინ, როცა ჩამოცილებული იყო პრესას, ბანკს, თეატრს, ლიტერატურას, პუბლიცისტიკას...

თავისუფალ საქართველოში შეიძლება პრეზიდენტიც ყოფილიყო, არა ბანკირი ან რედაქტორი, მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლიტიკოსად დაბადებული კაცი სწორედ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა, როცა ჩაერთო იმპერიის სისტემაში, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ილია ჭავჭავაძემ პოლიტიკასა და ლიტერატურას შორის გამოძებნა შუალედური სფერო — საზოგადოებრივი არენა და პუბლიცისტიკა.

მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ მასაც იგივე ელოდა, რაც მის უძველეს არქეტიპს: პატრიარქალური მამა რიტუალურად მოკლეს გამგელებულმა შვილებმა, რომლებმაც მალე დაიკავეს მისი ადგილი.

ბ) მეფე-ქურუმის განდევნა

იგივე ითქმის გრიგოლ რობაქიძეზე.

მას უფრო რთულ და სასტიკ დროში მოუხდა მოღვაწეობა — ეს იყო რევოლუციების, მსოფლიო ომების, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის სატანური ეპოქა.

სწორად შენიშნავდა, პოლიტიკას ადევნებული მწერალი წაგებული რჩება და ისჯება კიდეცო.

გრიგოლ რობაქიძე ესთეტიზმისა და იდეების მსახური იყო, აღზრდილი გოეთესა და ნიცშეს ტრადიციებზე, რომლებიც არა მხოლოდ მის მრწამსზე, არამედ ცხოვრების წესზეც ახდენდნენ გავლენას.

იგი ლიტერატურაში მოჰყვა დიდ კულტურულ მოძრაობას — მოდერნისტულ განახლებას, რომლის ციკლონი ილიასა და სხვათა მიერ გამოღვიძებულ საქართველოს უახლოვდებოდა.

თუ ილია რუსულ იდეებზე აღიზარდა, გრიგოლმა რუსულს დაურთო

▸ 2 გვ.

1 გვ.

გერმანული ნაციონალიზმი.

თავიდან არც პოლიტიკა იზიდავდა, არც საზოგადოებრივი არენა, მაგრამ თანდათან მის შეგნებაში ყალიბდებოდა, ერთი მხრივ — ნიცშეანელი ძლიერი პიროვნების კულტი, მეორე მხრივ — თავის თავსაც წარმოიდგენდა უჩვეულო პიროვნებად.

მას, მართლაც, ჰქონდა მტკიცე ნერვები, დიდი ნებისყოფა, დიდი ერუდიცია, გამორჩეული გარეგნობა, ორატორული ნიჭი, აზროვნების ძალა, რომლის საფუძვლად ჰეროიკას, მითოსს, ქართულ სიტყვას და სისხლის მისტერიას იგულვებდა.

როგორც ესთეტი, ერუდიტი და ორატორი აუდიტორიას იოლად ხიბლავდა და იმორჩილებდა. თეატრალურმა სპექტაკლებმა კიდევ უფრო განუმტკიცა ავტორიტეტი. ამიტომაც, განებივრებული საზოგადოებისა და ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან, ლიტერატურაში ამკვიდრებდა აზრისა და ძლიერი პიროვნების დიქტატურას, მითოსსა და ესთეტიზმს.

თითქოს ეროვნული პრობლემები არც აინტერესებდა. მაგრამ ბოლშევიკების სიმხეცემ მასში ქართველი ნაციონალისტი გააღვიძა და ეს ლენინის აპოლოგეტიც სამშობლოდან ჰიტლერულ გერმანიაში გასტყორცნა, აქცია სტალინის მოძულედ, ჰიტლერისა და მუსოლინის პანეგირიკოსად.

ძმებისა და შვილების მიერ განდევნილმა და შერისხულმა ზეკაცმა ბოლშევიზმიდან ფაშიზმისკენ გადაინაცვლა. მსოფლიო კი ორივე მათგანს გმობდა.

გრიგოლ რობაქიძე, ილიას დარად, შესაძლოა პრეზიდენტიც გამხდარიყო (შდრ. — ემიგრანტ გერმანელებს ჰიტლერის დამარცხების შემდეგ პრეზიდენტად თომას მანი უნდოდათ), მაგრამ პოლიტიკოსი არც ის ყოფილა, ჩაბმული რევოლუციურ და პარტიულ ბატალიებში. როგორც მოაზროვნესა და ერისკაცს, ეგონა, რომ ფაშიზმი სძლევდა ბოლშევიზმს და საქართველოს თავისუფლება ეღირსებოდა.

ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა, რაც ცხადყოფს, რომ არ ჰქონდა პოლიტიკური რეალიების განჭვრეტის ალღო — სასურველი ხშირად რეალობად მიაჩნდა.

ამიტომ ეს ლიდერად დაბადებული კაცი ყველა მხარემ მოიკვეთა და ანათემას გადასცა. იდეურმა და პოლიტიკურმა კატასტროფამ კი ნერვები შეურყია და ლიტერატურას ჩამოაცილა.

მაინც სწამდა, რომ „ლამარათი“ მსოფლიო იამაყებდა! ძალაუფლების ნება, მეფე-ქურუმის არქეტიპი, რაც მას ენერგიის და სიცოცხლის აზრს აწვდიდა, არასწორად იქნა რეალიზებული. ამიტომ ქართულ ცნობიერებაში ვერ დაიკავა ის ადგილი, რომელიც შეეძლო სჭეროდა.

მიზეზი მხოლოდ ეპოქის კატაკლიზმები არ ყოფილა:

გრიგოლ რობაქიძეს სურდა, ესსეში ესსეისტზე მეტი ყოფილიყო, რომანში — რომანისტზე მეტი, ლექსში — პოეტზე მეტი, ხოლო პოლიტიკასთან თამაში ყოველთვის საბედისწეროა: ამაღლებას მოსდევს დაცემა, მწვერვალს — უფსკრული, განდიდებას — შეჩვენება. გული მაინც პოლიტიკური ლიდერებისაკენ მიუწევდა, როგორც მოაზროვნეს, მოსულს ნიცშესა და მითების სამყაროდან.

თუ ილია ჭავჭავაძე ველურთა წესისამებრ მოკლეს, გრიგოლ რობაქიძე სამშობლოდან მოიკვეთეს, მოღალატედ გამოაცხადეს და მისი სახელის ხსენებას ტაბუ დაადეს.

გ) მეფე-ქურუმის წამება

განსხვავებულად არის ძალაუფლების ნების — მეფე-ქურუმის არქეტიპი რეალიზებული კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

ისიც, გრიგოლის დარად, გერმანიიდან, გოეთესა და ნიცშეს სამყაროდან მოდიოდა, დიდხანს სწავლობდა გერმანიის უნივერსიტეტებში.

ბავშვობაში ხან კათალიკოსობა უნდოდა, ხან — გენერლობა, ე.ი. თავიდანვე ჰქონდა ლიდერის იდეალი, ხოლო სიბერეში გულდაწყვეტილი შენიშნავდა:

„მე არ ვინატრებდი არც აკადემიკოსობას, არც მსოფლიო რეზონანსის მწერლის სახელს, ვნატრობ და ვნანობ მხოლოდ იმას, რომ მე არ გამაჩინა არსთაგამრიგემ თამარისა და ლაშა გიორგის რომელიმე ლაშქრის მთავარსარდლად“.

მთელი ათწლეული მოანდომა განსწავლასა და საკუთარი თავის პოვნას. ძიებასა და დრეიფს წერტილი დაუსვა 1921 წლის კატასტროფამ. თავისუფლების წყურვილმა, ძლიერმა ნაციონალიზმმა, ბოლშევიზმისადმი სიძულვილმა მასში შემოქმედი მოამწიფა, შემოქმედი, რადგანაც პოლიტიკის გზა დახშული იყო.

ყოფილი დიპლომატი და ფედერალისტი ახალ სიტუაციას უნდა შეგუებოდა ან 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულიყო.

შეგუება არ შეეძლო, ძალაუფლებისა და ხელისუფლებისათვის ვერ იბრძოლებდა, რადგან აინტერესებდა არა პოლიტიკა, არამედ — ერის ბედი.

ამიტომ თავისი ერუდიცია, ნაციონალიზმი, მრწამსი და ტემპერამენტი შემოქმედებად გარდასახა, რათა ასე შეექმნა ოცნების ქვეყანა, გამოეყვანა როგორც დამარცხებული, ისე გამარჯვებული ეროვნული სულის მედროშე გმირები.

ქვეყნის ტრაგედიის სიმწვავემ აუმოძრავა ფარული ძალები, არაცნობიერი ფსიქიკა, ინსტინქტური ლტოლვები, ხედვა და გრძნობა. ამიტომ ადარებდა თავის თავს უფლის ანგელოზთან მებრძოლ ბიბლიურ იაკობს.

ძალაუფლების ნების სიმბოლოები არიან კონსტანტინე გამსახურდიას ღმერთის მაძიებელი ან ღმერთის მკვლელი პერსონაჟები, მეფეები და სარ-

დლები, განსაკუთრებული ბედისა და ინტელექტუალობის ტრაგიკული გმირები, რომლებიც იტევენ მთელი ერის სევდასა და იმედს. ისინი პრაქტიკულად თუ პოტენციურად მეომრები არიან, ცხენოსნები და მონადირენი. ამიტომაც ხატავს დიდი ვნებითა და ექსტაზით ბატალურ სცენებს, სისხლიან შეტაკებებს, გმირის აღსასრულს.

როგორც პიროვნებას, ბოლშევიკური წნეხი მოსპობით ემუქრებოდა;

როგორც შემოქმედს — ძალას ჰმატებდა, ფანტაზიის უნარს უღვიძებდა, სიმბოლურ-ალეგორიულ აზროვნებას აჩვევდა, რათა რეალობას გამიჯვნოდა, ეთქვა, როგორც გულისმომკვ-ლელი აღსარება, ისე ეჩვენებინა ხორცშესხმული იდეალები.

გარკვეულ ზღვრამდე რეპრესირება სასარგებლო იყო!

სინამდვილესთან კონფლიქტი და დისკუსია, რეალობაში — შეგუება, ოცნებაში — დაპირისპირება ზრდიდა სულის აქტივობას, რასაც ახლდა დაპატიმრება, გადასახლება, მუდმივი თვალთვალი და კრიტიკა, შიში და სიკვდილის ლანდი.

არც კონსტანტინე გამსახურდია ყოფილა პოლიტიკოსი. ისიც ერისკაცი იყო, ვისაც „ერის წყლული აჩნდა წყლულად“. ამიტომ შემოქმედება იყო სულის ხსნა. ხოლო ლოიალობა ბოლშევიკებისადმი აუცილებელი ჩანდა სიცოცხლისა და მრწამსის გადასარჩენად, რაც გაშალა ესსეებად, ნოველებად, რომანებად, აქცია სიუჟეტებად, სახეთა სისტემად, პერსონაჟებად, ენობრივ მოდელად.

„მთვარის მოტაცების“ ავტორმა სწორედ ესთეტიზმი და ემოციების სამყარო წამოსწია, გრძნობებით შემოსა და შებურა აზრი და იდეა. ამიტომ ცოცხლობენ ასე მძაფრად მწერლის გმირები, სიუჟეტები და სტრიქონები ჩვენს შემეცნებაში.

იგი დარჩა ოცნების სფეროში და ამიტომ აკმარეს ტანჯვა-წვალება ძმებმა და შვილებმა, არ განუმზადეს ის განაჩენი, რაც წილად ხვდათ ილია ჭავჭავაძესა და გრიგოლ რობაქიძეს.

დ) ქურუმიდან განღმრთობამდე

ილია ჭავჭავაძე პოეტს ბიბლიურ მოსეს მსგავს ლიდერწინასწარმეტყველად მიიჩნევდა:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

მოწესრიგებულ სახელმწიფოში ერის ლიდერი არ შეიძლება იყოს პოეტი ან პროზაიკოსი. ეს ტრაგედიაა, რადგან ასეთ ქვეყანას არ ჰყავს მეფე ან სარდალი, პრეზიდენტი ან პოლიტიკური მოღვაწე.

ასეთი იყო გუბერნიებად დაშლილი რუსეთის კოლონია — XIX საუკუნის საქართველო.

ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს და შექმნილ ვაკუუმს ავსებს შემოქმედი, რომელმაც შეიძლება დამუხტოს ხალხის სულისკვეთება, როგორც შანდორ პეტეფმა, ჩაუნერგოს ბრძოლისა და თავისუფლების სურვილი. მაგრამ ლიდერი პოლიტიკოსი ან რევოლუციონერი უნდა იყოს (შდრ. — გოეთე: „რა უნდათ გერმანელებს? მათ ხომ მე ვყევარ!“).

საქართველო არა მხოლოდ კოლონია, სულიერადაც გატეხილი ქვეყანა იყო, რომელსაც მწერლის გარდა მზრუნველი და მოიმედე არავინ ჰყავდა.

ერის თუნდაც სიტყვით წინამძღოლობის იდეა ნიშნავდა ძალაუფლების ნების გამოვლენას (შდრ. — გოეთე, ლევ ტოლსტოი, თომას მანი), სულიერ განღმრთობას.

ილია იმასაც ამბობდა, რომ ფრინველივით არ მღეროდა და უფალმა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის როდი გამოგზავნა (სხვათა შორის, თურმე, ბულბული როცა გალობს, ეს არის სხვების გაფრთხილება, რომ ეს ტერიტორია მისია!).

უფლის მიერ შემოქმედის დანიშვნა („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა“) — ეს განსაკუთრებულობის სიმბოლოა, რაც შეჰფერის მეფე-ქურუმს. მაგრამ ილია ამასაც შენიშნავს, რომ

„სიმღერა“ და „ტკბილი ხმა“ აუცილებელია, რათა ყური უგდონ.

დიდი ხელოვანი განგების რჩეულია (შდრ. — თომას მანის გოეთე: „გერმანია მე ვარ. ის რომც მთლიანად დაიღუპოს, ჩემში გააგრძელებდა არსებობას“), მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში ეს სულაც არ არის „წინამძღოლობა“.

„წინამძღოლს“ სხვაგვარი ნიჭი სჭირდება, რაც მართვის, პრაქტიკული მოქმედების უნარით ვლინდება.

აქილევსს ვერ შეცვლის ჰომეროსი, თუმცა „არა დიდ იყო აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვია მაქებელსა“.

გური ოტობაია

ჩვენ „ქილილა და დამანას“, „სიბრძნე სიცუისას“ განჩარჩოებულს ვეძახით (უმჯობესია გვეწოდებინა მოზაიკური) და ყველა მათგანის სათავე „ათას ერთ ღამესთანაა“, სადაც მთხრობელი მშვენიერი შეჰარაზადაა. იგი თავს გადაირჩენს მეზღაპრეობით, რათა მრისხანე შაჰთან კიდევ ერთი თანამეცხედრული ღამე ეღირსოს და აშკარა სიკვდილისგან ამ გზით გადაირჩინოს თავი. სხვა ნაწარმოებებსაც აქვთ გარკვეული მიზანდასახულობა, მაგალითად, სულხანის იგავ-არაკების კრებული უფლისწული ჯუმბერის განსწავლითაა ზღვარდებული. ვეზირი სედრაქისა და საჭურისი რუქას თითოეული მონათხრობი ამ საწადელითაა აღძრული. ნოველების სიმრავლეს (აქ უნებლიეთ მახსენდება პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავას შეგონება: კულო, გაშლილ ზღვაში ათას ნაფოტს ერთი ჯირკუნტია გერჩივნის, ჩაებღაუჭები ქე მაინც და თავს გადაირჩენ. ათასი ნაფოტი კი ვერაფერში წაგადგებაო), კლასიკურ დონეზე აიყვანს რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბოკაჩიო (დანტე ალიგიერის პოემა კომედიის კონგენიალური ნათლიმამობა მისგან მოდის ღვთაებრივ კომედიად).

განჩარჩოებულ სტილისტიკას საზღვარს მოურღვევს რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, როცა იგი ერთ ფაბულას აირჩევს ნაწარმოების დედაბოძად - უცხო მოყმის გამოჩენას და მისი ძიებისათვის დაფაცურებას ნაწარმოების ნებისმიერი პერსონაჟისგან - ნოშრევან მეფესი, თინათინის, სპასპეტი ავთანდილისა. აი, ამ ყველაფრის ფონზე, წინ წამოიწევა ფაბულის მონოლითურობა, ერთი გმირის კონცეფცია.

ამ ყველაფრის შემდგომ რომანმა არაფრისდიდებით დათმო თხზულების მონუმენტური არქიტექტონიკა. არისტოტელე სანიმუშოდ განიხილავს ჰომეროსის „ილიადას“, რომელიც აქილევსის რისხვის გარშემო დარაზმავს ტროას 10-წლიანი ომის ბატალიებს. თვით აქილევსის რისხვა კი ომის მიწურულს იწყება - ბერძნების ტყვე ასულის, ქრისვისის გამოსახსნელად მოსულ ქურუმ ფრიქსეს უდიერად მოექცევა ბერძნების გაერთიანებული მხედრობის მთავარსარდალი, მიკენის მეფე აგამემნონი: არავითარი გამოსასყიდი, თვალითაც არ დამენახო, ბებერო! შენი ასული ხარჭად მეყოლება, ქვეშაგების ამბერტყავადო. მოკლედ, ასეთი მწარე სიტყვებით კინწისკვრით გააგდებს უბედურ მამას.

ამასობაში ტროელებისგან ბერძნებში ჯორებით შემოგზავნილი დამპალი ხორცი სახადს მოსდებს ლაშქარს. მუსრს გაავლებს მათ, ყველგან კოცონი ხრჭოლავს მათი გვამებისგან, რასაც აგამემნონის უკადრისი საქციელის გაამო ღმერთების სასჯელად ნათლავენ ბერძნები. ამისტვისაც გამოსარჩლება აქილევსი ტყვე ქალ ქრისეისს და აგამემნონს მრისხანედ შეუტევს - მიეცი ასული მამას, ხარბო, გაუმაძღარო, ირემივით წვრილთვალებავ. ტროელებს ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ, პირიქით, მენათესავებიან კიდეც. შენი რძლის გამო, შენი ოჯახის გამოა, რომ ვეომებით მათ და ვამრავლებთ საჭურჭლეს შენთვის. ხედავ, ღმერთებმაც რა უბედურება დაგვატეხეს თავს, მიეცი ასული მმას, ხარბო, გაუმაძღარო კაცოო.

აგამემნონი კედელთანაა მიმწყვდეული, ვერ აუტანია რანგით აღმატებულს აქილევსის უდიეობა, თუნდაც ბრძოლაში შეუდარებლისგან, მამაცზე უმამაცესისგან და თავისი ძალაუფლება რომ დაანახოს, ხარჭა ქრისეისის წართმევით შეემუქრება, ჯილდოდ რომ მიუციათ ბერძნებს. კინაღამ მახვილზე გაიკრავს ხელს აქილევსი, მერე მყის მხრებს ჩამოყრის, სინანული გათანგავს: არმად მორთმეულ-წაგვრილ ჯილდოზე, წაიყვანეთ, თქვენი ნაბოძვარი, მაგრამ იცოდეთ, მე ჩემს გემში ჩავიკეტები მხედრებიანად და სანამ აქ, ამ გემებამდე არ მიგიმწყვდევენ ტროელები, თითის გამტოკებელი არ ვარო. აი, აქილევსის მრისხანების ძირითადი მიზეზები. ჰომეროსს ეს მოტივაცია უფრო მაღალ რეგისტრში აჰყავს აქილევსის ომში ხელახლა ჩართვის მეცადინეობით. საამისოდ ბერძნები მისთვის უმაღლეს ჯილდოდ ჰეფესტოს გამოაჭედვინებენ საჭურველს, ჩაჩქან-მუზარადს, ფარსა და ხმალს. აქილევსს სწყურია მისით აღკაზმვა, მაგრამ ერთხელ დაგდებულ სიტყვას როგორ გადავა. ორპირი დანაიდი როდია, ამაყი - პელაზგი. და აი, მისი მეგობარი პატროკლე აღიკაზმება კიდეც მისეული ჯავშნით. ყველას აქილევსი ჰგონია ომში ჩართული. ჰექტორი განგმირავს ორთაბრძოლაში ცრუ-აქილევსს და რომ გაირკვევა მისი ძმადფიცული პატროკლე ყოფილა, გაოგნდებიან. აქილევსის რისხვას საზღვარი არა აქვს. მისი მრისხანების მასაზრდობელი ის გახლავთ, რომ გაუწბილდა ყოველი ვარაუდი, დედისიანებმა არ დაინდეს, სიკვდილისთვის გასწირეს ღვიძლი. თურმე ომის კანონებისთვის ნათესაური გრძნობა არაფერი ყოფილა, მოკლედ, აქილევსის რისხვა დრამატული მუხტისაა, სავსებით ჰყოფნის ტროას ათწლიანი ომის ბატალიებს ხერხემლად და აი, მიუხედავად ესოდენ მონოლითური კაცობრიული ნაწარმოების დაბადებისა, მაინც მიყოლებით ჩნდება ათას ერთი ღამე, ვისრამიანი, დეკამერონი, სიბრძნე სიცრუისა, გნებავთ, აგერ, ყურისძირას რევაზ მიშველაძის სამრომანეული - „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, 2010; „წამება“, 2018; „ციყვი ბორბალში“, 2016. სამივე გამომცემლობა საქართველოს დასტამბულია.

რევაზ მიშველაძის რომანების თავისებურება მსოფლიო ბელეტრისტიკის მდინარებაში

(წერილი პირველი)

რომანის არქიტექტონიკა, აღნაგობა ჰომეროსიდან მოყოლებული, სულმუდამ განიცდიდა ტრანსფორმაციას, განჩარჩოების მხარდამხარ მწერალი სამი, ზოგჯერ მეტი წრტილიდან ავიტარებდა მოქმედებას და ამ თემათა მონაცვლეობით მკითხველს აძლევდა გადართვის, ამოსუნთქვის საშუალებას. ძნელია ახლა ეტალონის დასახელება. კათედრალურ თხზულებებს დონ კიხოტს, ტილ ულენშპიგელს, გარგანტუასა და პანტაგრუელს ახლავს თავიანთი ხიბლი. აქედან სერვანტესის ნაწარმოები პლანტარულ წიგნადაა დასახელებული, მაგრამ მას არ გააჩნია წერტილის დასმის ლოგიკური მდგომარეობა, მისი დაუსრულებლად გაგრძლებაა შესაძლებელი, თუკი საამისოდ გმირს ეყოფა მოფამფალებულ როსინანტზე ჩინდრიკის უნარი. ასეთი ლოგიკური წერტილი მონახულია „ღვთაებრივ კომედიასთან“ და „ფაუსტთან“. მათში კულმინაცია, ფინალი მოთხოვნილებაა ნაწარმოების ჩასახვიდანვე, ააღწევს ალიგიერი ბეატრიჩამდე, მოისმენს მის რეჩიტატივებს სამოთხის აგებულებაზე, უფლისეულ განზომილებებზე და მორჩა, იმის იქით სარბიელი ამოწურულია. იგივე სიტუაციაშია ფაუსტი, იტყვის: წამო, შეჩერდიო, (რის გამოც ფილისტერს უწოდებს მარქსი გოეთეს - ყოველდღიურობით შეზღუდულს, ობივატელს), და დაცხრა ეშმაკეული ძალით სიკეთის მოსაქმე დოქტორის გარგარი, ფოდილივით დაეშვა დაბლა. რა იღონოს - კაცობრიული გონების ლოცმანმა პრომეთემ, ან კიდევ ანა სხვანაირადაა თავად იესო ნაზარეველის ბედისწერა, დათრგუნავს სიკვდილით სიკვდილს ადამიანთა მარადიული სუფევისთვის და ამაღლდება კიდეც ცათა. იგივე შედეგებია ნიცშეს ზარატუსტრასთან, დოსტოევსკის ძმებ კარამაზოვებთან, რუსთაველის ვეფხისტყაოსანთან დაუსრულებელ ქორწილომანიასთან, საითკენაც გაიქცე, საითკენაც მობრუნდე, ფინალი აგვირგვინებს და ასარკოფაგებს ერთდროულად გმირის მიზანდასახულობას. ყველგან ჩიხია, არსაიდან ცრიატებს ღია სივრცე ახალ გადასახედად. და ამ ლაბირინთებში, და ამ ჟინი ანთარის გაბრძოლება ბედისწერასთან კაცობრიული სულის ახალი მოძღვრებით აღსავსებად უკეთესს რას წააწყდებოდა, ვინემ დათა თუთაშხია, ან მოხუცი სანტიაგო, ზარების გუგუნის გამოყრუებული კვაზიმოდო, სავეშაპ ბარჯის მარჯვედ მსროლელი ქვიქვეგი, თუ რომელი შინაურულ-კარგარეთულ გამოცდილება?

მე უნივერსიტეტის წლებში ბ-ნ რევაზ მიშველაძის რამდენიმე ლექციას დავსწრებივარ ჟურნალისტიკის საღამოს განყოფილებაზე. ყოვლად წარუშლელი იყო ისინი ჩემთვის, თავიანთი მინორული უშუალობითა და სიღრმეებით. ბატონი რევაზი ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი გახლდათ საბჭოეთში, ლიტერატურის თეორიის იშვიათი მცოდნე, გასაოცარი დეკლამატორი და ახლა ამისთანა ერუდიტს რანაირად გინდა ელაპარაკო თხზულების განჩარჩოებაზე, მონოლითურ ფაბულიანობასა თუ ცცნობიერების ნაკადის სტილისტიკაზე? რასაც ახლა დავაბრეხვებ, უფრო ინტუიციით ვგუმანობ, რადგანაც მისეული მწერლური კონცეფცია წერილობით ჯერეთ არსად დამილანდავს; ვგუმანობ, რომ მან საგანგებოდ ნოველის პრიორიტეტი ამჯობინა თხრობისას ათასი ამბის ერთ გმირზე თავსმოხვევას რომანის გასამსხვილებლად. ესეც რომ არა, ამ მიმართებით ხომ თავად არისტოტელეც აქეზებს ავტორს „პოეტიკიდან“ - ტრაგედია (ჩვენეული ჟანრული გაგებით ნოველა, დიდმოთხრობა) უფრო სრულყოფილი ნაწარმოებია ეპიკურ ტილოსთან შედარებით, ვინაიდან იგი გაცილებით მიზანსწრაფულია ერთი ცენტრალური ამბისკენ, უკეთესად ემორჩილება ნებისმიერი ნაწარმოების ეტალონურობის ქვაკუთხედს - ადგილის, დროის და მოქმედების სამერთიანობით. ჰოდა, ამ თეორიული არსენალით აღჭურვილი ბატონი რევაზი, ეძებს ხერხემალს, რომელიც უზუსტესად იკისრებს მისი ნოველების მკვიდრად შეკონვის მისიას და შებოჭავს კიდეც ყოველივეს მავანთაგან გაყიდული სამშობლოს გამოღვიძების საყვირეთს, მამულს საგოდისს, მამლექეთად წოდებულისას აჭარაში, გიმ-ლარდა დაბაბანებას სვანურში, დობადონა კივილებს შურიმშინე ლაზეთში, თუ შურობუმუ-ოდებადე-ობადიშის ოდოიათ სამეგრელოში.

ასე რომ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ კრებსითი ინდივიდუალურობით რატომ პერსონიფიცირება რევაზ მიშველაძესთან - სამშობლო. გმირის სადაგი სხეულებრიობით აიზიდება იგი ჩვენს წარმოსახვაში და მოელის უამრავი თემის ამოღმართებას. ბატონ რევაზ მიშველაძემდე რომანის გმირად სამშობლო არავის დაუსახავს დედამიწის ზურგზე. მამულს ყველგან და ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთების თავდადებულნი განადიდებდნენ ხოლმე, მაგრამ თვითონ სამშობლოს რომ ესელდგმულა გმირის აღნაგობით ჯერეთ არ სმენილა, ეს მწერალ რევაზ მიშველაძის ექსკლუზიური ინდივიდუალობაა.

ამისთვის და ზუსტად ამის გამო მწერალი რევაზ მიშველაძე ნოველათა ოცეულით თუ ერგასეულით (50) ქმნის მხატვრულ მთაგრეხილს, რომლის მთავარი გმირი საქართველოა, დიახ, დიახ, ჩვენი დუხჭირი საქართველო და ამ გზაზე, მას ამიერიდან არ სჭირდება ფაბულათა სამკუთხედები („ანა კარენინა“) ან პერსონაჟთა კვადრიგები: („ულისე“ -სტივენ დედალოსი, ბლუმი, მალიგანი, მოლი ბლუმი; „ხმაური და მძვინვარება“ - კვენტინ კომპსონი, კვენტინა, ნენჯი, ჯეისონი). მან ამოარჩია თემატიკად სამშობლო - ეს მარადიული ცნება და რანაირი პლასტიკით ჩამოძერწა მისი ოკრობოკრო შუკაბანები, მაგრამ რამდენად მოხვედრილია აქ ათიანში ლარის გამოტყორცნილი ისარი, ან რამდენად მიახლოებულია ესთეტიკურ გამოცდილებას მონოლითურ აღნაგიანი რომანი თუ შინაგანი მონოლოგისა და „ცნობიერების ნაკადის“ სინთეზური მიმართების XX-ეული ულისე, თამაში, მძვინვარება თუ ჩმეული ამწუთიერი სიცოცხლემისჯილობა რიგითი მოკვდავისა, „ილორის“ მომდევნო ნომრისთვის გადამიდვია სასაუბროდ.

ერეკლე საღლიანი

იქ, სადაც შენ ხარ!

მწყურვალს წყალს ასმევ და იმის მწე ხარ,
მხევალ ხარ მტრისგან დანაცრულ ტაძრის,
ყინულის ლოდზე გულაღმა ვწევარ
და შენ კი თოვლის ყვავილებს მაყრი.
ბარდნის და თეთრად ჰფენ ფიფქებს მინდორს,
მზე მოჰგავს თავის გამოხრულ ქალას,
იქ, სადაც შენ ხარ, მნახველი იგრძნობს
იგრძნობს ამ მიწის მიმზიდველ ძალას.
თვალს აუხელდი შენ თავად ბრმასაც,
შუქს მოსტაცებდი ოდიშში ცირას,
შენ შენი სული შინაგან წვასაც,
შინაგან წვასაც შეიგრძნობ ხშირად.
გიხდება გრძელი სამოსი, სადა,
ხარ სიხარულის, ოცნების წყარო,
ქმნი შენს გარშემო გარემოს, სადაც
სიძულვილი და შფოთი ვერ ხარობს.
მწყურვალს წყალს ასმევ და იმის მწე ხარ,
მხევალ ხარ მტრისგან დანაცრულ ტაძრის,
ყინულის ლოდზე გულაღმა ვწევარ
და შენ კი თოვლის ყვავილებს მაყრი.

ხოჩა მარე

ცა გხურავს და ბებერ ლასდილს,
ელოდები მნახველს,
შენი მთების სუნი ასდის,
შენი ჩოხის ნახევს.
ცხოვრობ ლეგა ნისლებს ზემოთ,
სწირავ ჯვარ-ხატს ზვარაკს,
შენს თავთუხის ცრემლის გემო,
აქვს ორნახად არაყს.
საუკუნის ხნის ხარ, თითქმის,
უდრეკ ნების ტოლო,
რაც შენს ბაგით ამოითქმის,
სიმართლეა მხოლოდ.
გიყვარს ის, ვინც ეულია,
სულში ქარტეხილით,
პური-ქრისტეს სხეულია,
შენთვის გატეხილი.
ჟამი გიდგას იფქლის თესვის,
გქვია ხოჩა მარე,
სუფთა წყლიდან როგორც თევზი,
კვლავ ამოგყავს მთვარე.
სიხარულით კურნავ დარდებს,
უფლის წრფელი ხმა ხარ!
სოფელი რომ სოფელს ჰგავდეს
ფეხზე მყარად დგახარ!
ეფერები ღვედს და ერქვანს,
ხარის ხნულში დგომას,
ვერ დაგცა და ვერ წაგფერფლა
ავბედითმა დრომა.
ემშვენები მთელ ხეობას,
სიცოცხლეს სძენ მიწას,
აქ დგახარ და ჩვენს ზნეობას,
სინდის-ნამუსს იცავ!
ცა გხურავს და ბებერ ლასდილს,
ელოდები მნახველს,
შენი მთების სუნი ასდის,
შენი ჩოხის ნახევს.

ხოჩა მარე - სვანურად კარგი კაცი
ლასდილი - ადგილია სვანეთში

ემიგრანტ ქართველებს

ლხინი აქა, ჭირი უნდა გაქრეს,
გაქრეს კვნესა - მოძახილი თარის,
არხევს მძაფრად თქვენი სულის აფრებს
სამშობლოდან წამომდგარი ქარი.
მზე შლის მიწის სანაპირო ხაზებს,
მოდის აქ ხმა მისი გულისცემის,
მიკვირს დღესაც ამოდენა გზაზე,
როგორ გეყოთ დასაღვრელი ცრემლი.
ცეცხლი ეკვრის დაულეველ კიდეს,
ცას კურცხალი თქვენს სანაცვლოდ დასდის,
მიკვირს მიანც, მხრებით როგორ ზიდეთ,
ამოდენა ტკივილი და დარდი.
ჩვენში ახლა სიჩუმეა მკვდრული,
ვეძებთ თქვენთან გზის გაკვალვის საბაბს,
წუხილისგან გაბზარული გულით
გალეული სული როგორ დაგაქვთ.
რა ძალა აქვს ქართულ სიტყვის ორკაპს,
ერთიანად ამსხვრევს გულის ფიცარს,
თქვენთან ერთად ვერ ისვენებს, ტოკავს
ცხვირსახოცში გახვეული მიწა.
მტკივა თქვენი გატეხილი ძილი,
თქვენი ბედით ვზომავ ქვეყნის მერმისს,
რა ძნელია, როცა შენი შვილის
შენი შვილის სუნთქვა აღარ გესმის.
წარსულია ფიქრთა თქვენთა მკვლელი,
რაც დღეს ხდება, თუ ხდებოდა წინათ,
ვივახ, შვილის პაწაწინა ხელით
გეფერებათ ავდარი და წვიმა.
თავს ძლივს ვუყრი საფიქრალს და სათქმელს,
ვეტყვი ყველას - მავანსა და ჩავანს,
თქვენს სამშობლო აქაც აღარ დათმეთ,
თქვენ სამშობლომ მიგატოვათ თავად.
ლხინი აქა, ჭირი უნდა გაქრეს,
გაქრეს კვნესა - მოძახილი თარის,
არხევს მძაფრად თქვენი სულის აფრებს
სამშობლოდან წამომდგარი ქარი.

ღია ჭრილობა

ავდგები, მოვალ, რომც ვიყო მკვდარი,
როცა იქნება მთათა ყრილობა,
მოდი და უთხარ სიკვდილს უარი,
სიკვდილთან არ ხამს გულკეთილობა.
ტანის დაჭერას გასწავლის ქარი,
არის დღე-ღამის შენთვის ცილობა,
შენდამი მიძღვნილ ამ ლექსის ბნკარიც
არის ბროლ-ლალის ღია ჭრილობა.

გიხსენებ მუდამ . . .

გიხსენებ მუდამ და შენი სახლი,
მომელის მიმსვლელს მიუვალ მთებში,
ძვირფასო, როცა ბაგეებს გახსნი,
მგონია, ვარდი ფურცლებს შლის ჩემთვის.
მჭრი შენი მჭრელი მზერით და ისრით,
ავსებ სითეთრით ჭალოვან ტაფობს,
შენ აძლიერებ სიცოცხლეს სისხლით,
ღარტაფის ხმაურს სიჩუმით აქრობ.
შურს თვალთა შენთა სილურჯე რიწას,
დასტირი უძლურს შვლის ნუკრის ხმაში,
შენს ცხარე ცრემლს არ იკარებს მიწა
და უცაბედად აგზავნის ცაში.
ნუ განმსჯი, თუ მსურს დაგხედო მძინარს,
გიძღვნი ლექსაც და საკუთარ ხმასაც,
მე შენში ახლა ვპოულობ იმას,
წამის წამში რომ ვიპოვნი რასაც.
გიხსენებ მუდამ და შენი სახლი,
მომელის მიმსვლელს მიუვალ მთებში,
ძვირფასო, როცა ბაგეებს გახსნი,
მგონია, ვარდი ფურცლებს შლის ჩემთვის.

* * *

ხარ თეთრ ქარაფზე შემდგარი შუნი,
ნისლებს დაიდგამ თავზე, ვით მიტრას,
ასდის ვარდის და ზამბახის სუნი,
შენი ყელიდან ამოსულ სიტყვას.
შეჰყურებ მთვარეს - მჭრელ სხივთა საცერს
და თვალებს შენსას წამით მილულავ,
ხილულს უხილავ სიდიდედ აქცევ,
ხოლო უხილავს აქცევ ხილულად.
ისმენ ჩემს ლექსის სტრიქონის ჭახანს,
იცი, სიტყვები მოვლენ და წავლენ,
ხარ ოფელია, რომელიც ახლა
პოულობს ჩემში მარტოსულ ჰამლეტს.
ჰგავხარ უღრუბლო ცის თაღზე ელვას,
აჩნიხარ ლექსად ქაღალდის ფურცელს,
ვხედავ, ამ შენმა პატარა ხელმა,
მთელი სამყარო შეცვალა უცებ.
შენა ხარ კვნესა დაჭრილი ჩანგის,
დაგწყდება ცრემლი, ვით გრემში ატამს,
შენი ბაგიდან დაღვრილი ჰანგი,
ჩემს ხმაში ო, რა სიამით ატანს!
ხარ თეთრ ქარაფზე შემდგარი შუნი,
ნისლებს დაიდგამ თავზე, ვით მიტრას,
ასდის ვარდის და ზამბახის სუნი,
შენი ყელიდან ამოსულ სიტყვას.

პირვანდელი ზაფრა

რა შეედრება პირვანდელ ზაფრას,
ინთქმები ნისლში, როგორც ვერსალი,
იელვა, შემდეგ ჩემს გულში ჩაქრა
შენ რომ მესროლე, ის ნაპერწკალი.
მოველ შენთან და ფარულ გაგანდე,
რომ ვარ საკუთარ ბედს მინდობილი,
მე სიყვარულის ბოლო ძაფამდე
ბოლო ძაფამდე ვარ შეპყრობილი.
ეგზნება შუქი შენს ბზას და ტატნობს,
შენს გზაზე მზე და თეთრი მთებია,
მე იმ ორ თაფლის წვეთის ბედს ვნატრობ
ერთ სიტკბოებად რომ ერთდებიან.
ვკითხულობ ბრძენი პლატონის „ნადიმს“,
ველტვი, რაც სათნო რომ მეყოს, იმას
ჩემი სხეული შენს გვერდით დადის
მას ყველაფერი შენსავით ტკივა.
მკლავს სინანული, ვიწყებ თავიდან
ცხოვრებას, რომ არ მივიქცე ძილად,
შენს ნაფეხურზე ია ჰყვავის და -
შენს ნაფეხურზე ამოდის დილა.
რა შეედრება პირვანდელ ზაფრას,
ინთქმები ნისლში, როგორც ვერსალი,
იელვა, შემდეგ ჩემს გულში ჩაქრა
შენ რომ მესროლე, ის ნაპერწკალი.

ცისკრის შუქი

ცისკრის ვარსკვლავს და ცისკრის შუქს
გადრი,
უსმენ ცათამფრენ ფრინველთა ქოროს,
მადლობა უფალს, რომ შენი მადლით
აღბეჭდილ დროში შენს გვერდით ვცხოვრობ.
ეკვრის ზღვის კიდე გარშემო ხოფას,
შენ აქ ხარ, შენით სუნთქავს გონება,
ვცდილობ გავცილდე საზარელ ყოფას
და ყოველდღიურ ერთფეროვნებას.
ანათებ, სხივთა სერობას მართავ,
ხარ სასოება, ჩვენშია რაიც,
ჰგავხარ ღამეულ წყვდიადში გამკრთალ
წყვდიადში გამკრთალ სიამის აისს.
წყაროს თვალივით ხარ სუფთა, მტკნარი,
წინ შენ და თეთრი მზის ჩრდილი უკან,
თვალებს გიკოცნის ლაზიკის ქარი,
როცა ზღვის დამწყდარ სიმებზე უკრავ.
შენა ხარ ჩემი ოცნების სევდა,
განშორებული სანატრელ ედემს,
შევცინებ ზეცას, გავშლი ორ ხელს და,
საშველს შენს ფარულ ღიმილში ვეძებ.
ცისკრის ვარსკვლავს და ცისკრის შუქს
გადრი,
უსმენ ცათამფრენ ფრინველთა ქოროს,
მადლობა უფალს, რომ შენი მადლით
აღბეჭდილ დროში შენს გვერდით ვცხოვრობ.

ქართველი დედის საუბარი აკვანში მწოლ შვილთან

„უღმერთობის ხანაში ხელისუფლებამ რაჭაში მცხოვრებ ებრაელებს აუკრძალა ონის სინაგოგაში ლოცვა. პროტესტის ნიშნად, ებრაელმა დედებმა აკვნები მიიტანეს სინაგოგასთან და დადგეს. მეორე დღეს მისულ ჩეკისტებს ებევრათ აკვნების რიცხვი. „კი მაგრამ თქვენ ამდენი არ ცხოვრობთ და საიდან ამდენი აკვანიო.“ ებრაელმა ქალმა უპასუხა: ეს ქართველი დედები დადგნენ ჩვენს გვერდით და თავიანთი შვილების აკვნები შემატეს ჩვენი შვილების აკვნებს“

ჩემშია მადლი და მის კვალს ვეძებ,
ვეძებ და ფიქრი მემღვრევა ხშირად,
დღეს სინაგოგის მზისსადარ სვეტზე,
ბიბლიურ სულის ჭრილობებს სძინავთ.
ცივა და მალე აქ უხვად მოთოვს,
ცნონ თვალთა შენთა, რაც ხდება დღესა,
სალოცავს მისთვის ადებენ ბოქლომს,
დედამიწა რომ დაშორდეს ზეცას.
დგას აშარი დრო, ურჯუკი ერა,
თელავენ მრევლს და თელავენ სამწყსოს,
ართმევენ მოსეს რჯულსა და რწმენას,
ართმევენ ერთად მაცას და აწმყოს.
შლიან ლიბოს და ანგრევენ ფუძეს,
წვავენ ვარდსა და ალისფერ ტიტას,
ვივახ! რა მწარე განსაცდელს ვუძლებთ
და რა საზარელ სადარდოს ვიტანთ.
ვერ გრძნობენ ფეხქვეშ რომ ეწვით მიწა,
შეეძლოთ შავად მორთავდნენ ცარგვალს,
დღეს უფლის სახლში ლოცვა თუ მიწყდა
მაშინ სიცოცხლე სიცოცხლეს არ ჰგავს.
თავს ვეღარ ვაღწევ ზმანებას, ბოდვას,
ის, რაც დღეს ხდება, ვიცოდეთ მაინც,
აღემატება ყოველგვარ ცოდვას,
ცოდვათა შორის ყოფილა რაიც.
უმძიმს მოყვასს და უმძიმს ჩვენს ძმას და,
ართმევენ უფლის სიტყვას და ბნელა,
ის ჩვენგან ელის ბალღო, დღეს ხსნას და,
ის ჩვენგან ელის მარტოდენ შველას.
ჩემს ყოველ სიტყვას სინანულს ვატან,
ვხსნი ჩემში რკინის გაუხსნელ საკეტს
და ებრაელი ჩვილ ბავშვის აკვანს,
ქართველი ბავშვის აკვანს მეც ვმატებ.
ჩემშია მადლი და მის კვალს ვეძებ,
ვეძებ და ფიქრი მემღვრევა ხშირად,
დღეს სინაგოგის მზისსადარ სვეტზე,
ბიბლიურ სულის ჭრილობებს სძინავთ.



თანამედროვე ქართულმა ხელოვნებამ, ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ქართული თეატრის, დავაზუსტებთ, ქართული პანტომიმის ელვარე, კაშკაშა ვარსკვლავი, თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი.

ქართულ ხელოვნებასა და მწერლობას გამოაკლდა მსოფლიიო რანგის შემოქმედი, ჩარლი ჩაპლინის, ჟან ლუი ბაროსა და მარსელ მარსოს ბადალი მიმი, რომელმაც მსოფლიო გაოცა, როგორც ქართული გენის, ქართული ნიჭიერების კიდევ ერთმა განუმეორებელმა გამოვლინებამ. მისი მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედება აუცილებლად გამონახავს საკუთარ ნიშას მრავალსაუკუნოვანი დიდი ქართული ხელოვნების საგანძურში.

ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი დაიბადა 1939 წლის 22 მარტს უზბეკეთის ქალაქ კოკანდში. 1947 წელს იგი შევიდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის საშუალო სკოლაში. 1953 წელს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მუშად. თბილისშივე დაამთავრა მე-19 საღამოს საშუალო სკოლა და 1965 წელს სწავლა განაგრძო თბილისის კულტსაგანმანათლებლო თეატრალურ სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1960 წელს. შემდეგ სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში დრამის განყოფილებაზე. ინსტიტუტი ამირან შალიკაშვილმა 1964 წელს დაამთავრა. მას შემდეგ იგი მუშაობდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობად, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობად და არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა ამ თეატრების სცენაზე.

თუმცა მისი არტისტული ბუნების სრული რეალიზება 1961 წლიდან დაიწყო, როდესაც პანტომიმის ჯგუფი შექმნა, შემდგომ ეს ჯგუფი სტუდიად გარდაიქმნა, ხოლო 1970 წლიდან ეს დიდებული შემოქმედი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ პანტომიმის თეატრს — მისი ცხოვრების მთავარ მიზანს, მისი არსებობის მთავარ გამართლებას. 1979 წლიდან ეს თეატრი სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა, რომლის ერთადერთი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავად ამირან შალიკაშვილი იყო. ამავე დროს, 1969 წლიდან ბატონი ამირანი თეატრალურ ინსტიტუტში პანტომიმის საგანს ასწავლიდა. 1978 წელს მისი წინადადებით ამავე ინსტიტუტში გაიხსნა პანტომიმის ფაკულტეტი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა.

დიახ, ჩვენმა დიდმა მაესტრომ არამარტო სრულყოფილად შეიწოვა, გაითავისა მსოფლიო პანტომიმის საუკეთესო მიღწევები, არამედ ეს ყოველივე ქართული სულიერების ქურაში საკუთარი გულის სისხლით გამოაწრთო და საოცარი ქართული ჟღერადობა მიანიჭა. მის პიროვნებაში ბრწყინვალედ შეერწყა ერთმანეთს დიდი ადამიანური, ყველაფრის შთანმთქმელი ვნებები, ემოციურობა, პოეტურობა, ბობოქარი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ და შედეგიც სასწაულებრივად გამაოგნებელი მივიღეთ — ამირან შალიკაშვილის სახით გვყავდა მასშტაბურად მოაზროვნე ხელოვანი, რომლის პლასტიკაში ჩამოქნილი ქართული სულის ყივილი თითქოს ვერ ეტეოდა ჩვენს ბებერ, ცოდვითდაცემულ დედამიწაზე და გალაქტიკისაკენ ისევე მიისწრაფოდა, როგორც „ჩაკრულო“ — ქართველთა სავიზიტო ბარათი.

ამირან შალიკაშვილი არ ლაპარაკობდა, არ საუბრობდა, მაგრამ ლაპარაკობდა მისი სხეული, მისი ხელები, რომლებიც ტიროდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ და ჩვენც გვაიძულებდნენ თანამონაწილენი გავმხდარიყავით ისეთი მისტერიისა, რომელიც გვანცვიფრებდა აზროვნების სიდიადითა და სიღრმით.

ქართველ მწერლებს განსაკუთრებით გვახარებდა ის გარემოება, რომ მაესტროს სწორუპოვარი სპექტაკლების წარმატებაში ქართულ მწერლობასაც ედო წვლილი. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“, გურამ დოჩანაშვილის „ფიროსმანი-მეფე“, ვახტანგ გოგოლაშვილის „მუშკეტერის სიკვდილი“, რევაზ მიშველაძის „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“, „ვეფხისტყაოსანი“. — ამ ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები პანტომიმის თეატრის ოქროს ფონდის კუთვნილებად იქცა.

ამირან შალიკაშვილის ხელოვნება პლასტიკად ჩამოღვენთილი პოეზიაა და რა გასაკვირია, თუ დიდმა მაესტრომ პოეზიაშიც სცადა ბედი. „ხილვები ფიროსმანზე“, ლექსები, „გულმა არ მოისვენა“, „ვარდის ცრემლით მიტირია„, „დუმილის შემდეგ“ - ამ პოეტურმა კრებულებმა სრულად დაიტია ამირან შალიკაშვილის ბობოქარი სულის ღაღადისი და კიდევ იმაზე მიგვანიშნა, რომ მათი ავტორი, ერთი შეხედვით, ხმაურიანი და ბოჰემური პიროვნება სინამდვილეში სააღდგომო ბატკანს წააგავდა, ზვარაკად შესაწირ ბატკანს, რომელიც თავის ხილვებსა და ზმანებებში სიყვარულით და სიყვარულისთვის ცოცხლობდა...

ძალზე საინტერესოდ გვესახება ამირან შალიკაშვილის მოგონებების ოთხტომიანი წიგნი „ცრემლიანი შემოდგომა“, აგრეთვე პანტომიმა — დუმილის პოეზია“ და სულ ახლახან გამოცემული „პანტომიმა“...

ამირან შალიკაშვილი არჩეული იყო საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის, ევროპის პლასტიკის თეატრის გაერთიანების, საერთაშორისო მიმების ორგანიზაციის წევრად.

საქართველოს სახალხო არტისტს, კულტურის რაინდს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მინიჭებული ჰქონდა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

დიახ, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფეერიული შესაძლებლობების მქონე დიდი შემოქმედი, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ან არ ამჩნევდა არცერთი ხელისუფალი.

ქართველი მწერლების მახსოვრობაში სამუდამოდ დარჩება ქართული პანტომიმის მშვენების, მშვენიერი პოეტისა და ერისკაცის სახე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ამირან შალიკაშვილის სამგლოვიარო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა რვაზ მიშველაძემ. გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, დიმა ღვთისიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გიგა ბათიაშვილი, დავით შემოქმედელი, ენრიკო ჯანელიძე და ერეკლე საღლიანი.

რევაზ მიშველაძის შესავალი სიტყვა სამგლოვიარო მიტინგზე 2018 წლის 29 ნოემბერს

ბატონებო!

დაიმახსოვრეთ დიდი ქართველი რეჟისორი, პანტომიმის თეატრის მამა ამირან შალიკაშვილი!

თქვენ მას უკანასკნელად ხედავთ.

წევს იგი თეთრი ვარდებით მორთულ კუბოში.

წევს ვალმოხდილი, უჩვეულოდ მოვლილი, საგარეოდ გამოწყობილი, ყურადღებით გამშვენიერებული.

მაგრამ მე ასეთი ამირან შალიკაშვილი თითქმის არ მინახავს.

მე დამამახსოვრდება იგი საყელოგაღეღილი, ღილებშეუკრავი, სულმობობოქრე, ხმაურიანი, საჩხუბრად და საკამათოდ შემართული, შინაგანი ცეცხლისგან აკანკალებულ-აბრიალებული.

დიდებულია ეს თეთრი ვარდები, მაგრამ ამირანის ცხოვრების გზა ვარდებით მოფენილი არასოდეს ყოფილა.

უიღბლობა სიყრმიდანვე დაჰყვა.

დაბადებაც კი საქართველოს გარეთ არგუნა განგებამ. რეპრესირებული ოჯახის შვილს, დედმამაგადასახლებულს დიდხანს თან სდევდა სიობლისა და მიუსაფრობის დემონი.

ბოლოს ნიჭმა გზა თვითონ გაიწალდა და ამირან შალიკაშვილის სახელი მის უდიდებულესობა ქართულ თეატრს დაუკავშირდა.

დიდი შემოქმედებითი წვისა და ძიების წიაღ მან ორმოცდაათი წლის წინათ შექმნა ქართულ სახელოვნებო სინამდვილეში გაუგონარი და არნახული პანტომიმის თეატრი.

მთელი სიცოცხლის მანძილზე აქ, ამ პატარა სცენაზე, სადაც ახლა მისი კუბო დგას, ამირან შალიკაშვილი სასწაულებს ახდენდა. დგამდა გრძნეულ სპექტაკლებს და პანტომიმის მსოფლიო ენით ჯერ ერთი, ეროვნულ პრობლემებს ახმაურებდა და მეორეც, მაყურებელს სიკეთის, თავისუფლების, მიტევების უკვდავ იდეალებს უნერგავდა.

ფარდის გახსნამდე მისი გამოსვლები სპექტაკლის ორგანული ნაწილი იყო. იგი იმპროვიზირებულად მოუთხრობდა მაყურებელს თავისი სახელოვნებო კრედოს შესახებ. იხსნებოდა ფარდა და ახლა თვით სპექტაკლი ღაღადებდა იმას, რაც ესოდენ სჭირდებოდა ამ ჩვენს ბედდამწვარ საქართველოს.

ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. ახლაც ყურში ჩამესმის ტელეფონში მისი სრულიად უცერემონიოდ ნათქვამი: „რეზო, მოდი, სასწრაფოდ!“

...და ჩვენ ერთად ვიბრძოდით იმათ წინააღმდეგ, ვინც დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ პანტომიმის ენით ტერენტი გრანელის, წმინდა გიორგის და ქრისტეს ამეტყველება თუ უხერხული არა, უბრალოდ შეუძლებელი რამ იყო.

ასეთი მშვიდი ამირანი მე არ მინახავს-მეთქი და ახლა მგონია, რომ რაც აქ ხდება, რომელიღაც ახალი სპექტაკლის უვერტურაა. ჰა და ჰა, წამოდგება იგი, ავანსცენაზე გამოვა და თავის განსაცვიფრებლად მეტყველ ხელებს აათამაშებს.

თქვენ გუშინ და დღეს ისმენდით ამირან შალიკაშვილის ხავერდოვანი ხმით წაკითხულ „ვეფხისტყაოსანს“.

იგი თვით განასახიერებდა შოთა რუსთაველს თავის უკვდავ სპექტაკლში შოთა რუსთაველის 850 წლისთავის არშემდგარ იუბილეს რომ მიუძღვნა.

დიახ, ხელისუფლებამ რუსთაველის იუბილე არ ჩაატარა, მაგრამ ამირან შალიკაშვილის მიერ დადგმული „ვეფხისტყაოსანი“ დიდხანს შერჩება ამ სცენას და საერთოდ ქართული თეატრის ისტორიას.

თქვენ ნახეთ, ბატონებო, ამირან შალიკაშვილის დასის წევრები: თვალცრემლმომდგარი ახალგაზრდა მსახიობები შემოვიდნენ აქ წითელი ვარდებით ხელში და ფერხთით დაუწყვეს დიდ მაესტროს.

ესენი ის მსახიობები არიან, ამხანაგო ხელისუფლებავ, ცივ სცენაზე ყოველდღიურად ექვსი საათი რომ რეპეტიციობენ და ხელფასი მხოლოდ 200 ლარი აქვთ.

მაგრამ საერთოდ რომელი ხელოვანის ცხოვრება ყოფილა დალხენილი, ამირანისა რომ ყოფილიყო და ამირანი არასოდეს არ წუწუნებდა.

მისთვის მთავარი თეატრი იყო თავისი დიდი წინაპრის - სულკურთხეული ვალერიან შალიკაშვილის მსგავსად.

სიკვდილმა სცენაზე, რეპეტიციის დროს მოუსწრო.

დეკემბერში გალაკტიონი უნდა გამოეშვა, მაგრამ არსთაგამრიგემ არ დააცალა.

წავიდა და საფლავში ჩაიტანა დარდი თავის უმთავრეს პირმშოზე, თავისი სიცოცხლის აზრზე, პანტომიმის თეატრზე.

ნუ გეშინია, ჩემო უერთგულესო მეგობარო, ბატონო ამირან!

შენი სამი ბოკვერი - ამირანი, დათო და ვალერიანი არ ჩააქრობენ შენს მიერ დანთებულ კოცონს.

ჩვენ ყველანი სულის ბერვას არ დავაკლებთ აწ უკვე ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის სახელმწიფო თეატრს.

შენ სულ რაღაც ათიოდე წუთში გამოგასვენებთ და ხალხით სავსე რუსთაველის პროსპექტი ტაშის დაკვრით მიესალმება შენს ცხედარს.

მახათას მთაზე ახალ პანთეონში დაიდებ სამუდამო ბინას.

იქაც პირველი იქნები და პანთეონში შენი პირველობით შენს კვალზე შემდგართ სიკვდილს უადვილებ!

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

შენ აწ და მარადის უკვდავების ბინადარი ხარ.

მურმან თავდიშვილი

ამ კოხტად გაფორმებულ წიგნში, რომელშიც დაჯგუფებულია ბადრი ქუთათელაძის ლექსები, მხოლოდ ლირიკის ნაზი სიო დაქრის, სულიერი სიფაქიზე გაბატონებულა და ცალკეულ მცირე სათქმელს ავტორი ისე გვაწვდის, თითქოსდა ატმის ახალაყვავებული რტო მოეწოდებინოს, ოლონდ მოეწოდებინოს იმის შიშით, ვაითუ ამ მოძრაობისას ნაზი ყვავილები დასცვივდესო.

აი, აგერ უკვე მივიღე მისგან მშვენიერი ესტაფეტა: ლექსი - ტკივილი „თოვლი“, მივიღე და შევიგრძენი ისევე მძაფრად, როგორც ოდესღაც გალაკტიონის იმავე სახელწოდების სასწაული. ახლა ჩემი ამოცანაა, მეგობარ მკითხველსაც ისე გადავცე, არაფერი დავაკლო, არ დავაზიანო, ძირს არც ფოთოლი და არც ყვავილი არ დამივარდეს.

ვცდი, ეგების, გამომივიდეს კიდეც.

ამ ლირიკულ გნომაში სულ სამი სტროფია. ყოველი მათგანი ცალ-ცალკეც დამოუკიდებელ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის და უკონტექსტოდაც, ქმნილებიდან ამოგლეჯილიც კი, პოეტურ-ესთეტიკურ ღირებულებად ყალიბდება, მაგრამ კიდევ უფრო ღირებული ხდება სამთა კავშირი, მათი აზრობრივი კომპოზიცია. კითხულობ ამ სტრიქონებს და გრძნობ: რაღაცას ვერ მიუსწარი, რაღაცამ გაგასწრო, მიუწვდომლის გამო გულში ხინჯად შეგრჩა მწვავე და აუნაზღაურებელი დანაკლისის შეგრძნება. ასეა, თოვლის ცნებას ახლავს ასეთი ასოციაციები, ოლონდ საჭიროა მათი შენიშვნა, მიგნება, გამოხატვა. ეს მოუხერხებია ავტორს. ასეთი ლექსი არ იწერება ჭაბუკობისას, ამგვარი რამ იქმნება სიჭარმაგისა და სიბერის ან - არასოდეს! აწ კი, აჰა, მოვიდა ეს „თოვლიც“:

შემორჩენია თოვლი ფერდობებს,
გამზადებული უკვე წამსვლელად...
არის ასაკი - ვეღარ ენდობი,
ფიქრობ და გიჭირს ამის გამხელა.

შემორჩენია თოვლი ფერდობებს,
გადაღლილი და წყენით მზირალი...
მივდივარ, მტკივა, ასე რომ გტოვებ,
ხარ კეკლუცი და სახემცინარი.

მოგონებათა ბურუსში ვცხოვრობ,
აქ თოვლის მეტი არც რა მეგულვის;
შენ - ჩვიდმეტის და ლამაზი გოგო,
მე - სამოცის და გაფითრებული!

აი, კიდევ ერთხელ წავიკითხე ეგ ლექსი, მკითხველთან ერთად წავიკითხე. თურმე, რა თბილი და გულისხმიერი ყოფილა ეს ცივი თოვლიც! დარწმუნებული ვარ, მანაც იგრძნო წარმავლობის ის სევდა, ის დაუძალებელი სულიერი ვარამი, აქ რომ იგულისხმება, და მეც არ დავრჩებოდი საკუთარი თავის არმადლიერი, თუ ყოველივე ეს თუნდაც ერთ თანამოძმეს მაინც შევაგრძნობინე.

არადა, რა უცნაური ქმნილებაა პოეტი:

უბრალო თოვლის ალგებრა

იტყვის რაღაცას და მერე მთელი საუკუნის განმავლობაში ირგვლივ უტრიალებენ, იხსენებენ, იყენებენ, მასზე მსჯელობენ. მაინც რამ ათქმევინა შოთა ჩანტლაძეს ის უცნაური ერთი ბეწო შედევრი, თითქოსდა არც არაფერი, მაგრამ ჩვენს ხსოვნაში სოლივით ჩაჭედილი:

წავიდა თოვლი, მოვიდა მიწა.

ეგ არა მარტო მეტაფორაა, ერთგვარი ოქროს გასაღებიცაა.

ამასთან დაკავშირებით მართლად ბჭობს მურმან ჯგუბურია: ესაა მთელი ლექსიცა და მთელი ცხოვრებაცო. და, რაკი მთელი ცხოვრებაცაა, მაშინ მრავალი რამის მომსწრე, შემსწრე და სიმბოლოა ეს უცნაური სუბსტანცია, „ანუ თოვლიც ისევე სხვადასხვანაირია, როგორც ჩვენ, ჩვენი შეგრძნებები, ხილვები, წარმოსახვები. დიახ, არის ქალაქის თოვლი, სოფლის თოვლი, კავკასიონის თოვლიც და, აი, საოცრება! - პანთეონისა და სასაფლაოს თოვლიც“.

ამ თვალთამზერით იგივე თოვლი ახლა სხვა ტკივილებს აგვიშლის:

დათოვლილია სამარის პირი
და წინაპრები წვანან მოწყენით;
გაძარცვულ ვარდს და გაძარცვულ ტირიფს
მონატრებიათ მზე და ფოთლები.

მონატრებიათ ლომებს ხმაური
და ეს სიჩუმე ასე გვაოცებს...
რა სიწყნარეა, რა უცნაური
ფიქრები დაძრწის სასაფლაოზე!

უცნაური პოეტური კალმის მიმყოლს, რომელსაც „ტერენტი გრანელის ცხოვრება მდინარეში ჩაგდებულ საწალობლად მოტივტივე ნაფოტს აგონებს“ (ზაალ ბოტკოველი), დასცდენია მრავლისმთქმელი მეტაფორებით დახუნძლული ტაეპები, საბოლოოდ რომ მინიატიურად ჩამოყალიბებულა:

უფრთხილდებოდა
მოხუცი ხარებს,
ღვინიები კი
კვალს მიჰყვებოდნენ -
რქები უგავდათ
ნამლევა მთვარეს,
მოხუცს იმედი
დაჰქონდა მხრებით
და შემოდგომა ელანდებოდა.

ჩვენი ავტორი ამჟამად ძირითადად მაინც ასაკობრივი ფოთოლცვენის სევდას განიცდის. ამ დროს („ვაჰ, დრონი, დრონი!“) ყველაფერი იცვლება, ხუნდება, ნაზდება; მან იცის, კარგად იცის, თუ ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის. ამიტომაც არის, ჟამიდან ჟამზე აღმოხდება:

რადგან დაკარგა
ამ ქუჩამ ძველი
ალუბლის ფერი
და ვარდის სუნი.

ამიტომაც მომრავლდა ლექსში, მთელ კრებულსა და ცხოვრებაშიც ფერები შემოდგომური, სიტყვა „შემოდგომა“, თვით ქალიშვილიც კი ახალგაცნობილი შემოდგომაა: „მეგებება შემოდგომა, გოგო - ახალგაცნობილი“; თითქოსდა ქუჩაც ისეთი აღარაა, დაცლილია, უფერადოა: სამაგიეროდ შემოდის ქარი და ცვენილი ფოთლები, სიტყვა-ცნება „არაფერი“:

ქუჩა თავად არის მოწმე
თაობათა გადაფრენის;
ქარი ფოთლებს მიაქროლებს,
აქაოდა, არაფერი!

ყოველივე ამის გამო თითქოსდა მიტოვებულივით, ეულად, ამოგდებულად, კენტად გამოიყურება ამ წიგნში ასეთი მეტაფორა „შენი გულმკერდი - ბროწეულის ცხელი კვირტები“, თუმცა მახვილი თვალის მქონე ავტორის მეტაფორული მიგნება თავისას აკეთებს და გონიც იმას ელაციცება:

მაღალ ფეხებზე

დგანან ქალები
და ეგ ქალაქიც
ხდება მაღალი!

მე აღარ მინდა 1990-იანი წლების თბილისი და რუსთაველის გამზირი გავიხსენო იმ ლექსებთან დაკავშირებით, აქ რომ არის წარმოდგენილი, ოღონდ ვერ მივაფუჩეჩებ ამ თემაზე წიგნის რედაქტორის გერგილიან ნათქვამს: „ბადრი ქუთათელაძე პოეტი გახლავთ, სევდიანი, ტკივილიანი, დარდითა და ნაღვლით სავსე, პოეზიის საუფლოს მკვიდრი, რომელსაც ძალუძს იმ ბეღურათა სევდის თანაზიარი გახდეს, რუსთაველის გამზირზე, ილიასა და აკაკის ძეგლთან, ტკივილს რომ კენკავენ...“

ერთ თვალმისადევნებელ სტროფში ავტორი ბრძანებს:

გაზაფხულებს ვაგორებდით
ფიქრით, შენით დანაფერით,
და ვიყავით ნაცნობები,
თითქოს... მეტი არაფერი!

ნებისმიერი მოკალმის აუცილებელი ამოცანაა: წანაკითხი ახალი კრებულის ზემოქმედებითი ძალის მეშვეობით გაგხადოს ავტორის უბრალო ნაცნობზე უფრო მეტი. ლექსთა ამ კრებამ, ვფიქრობ, ეს ამოცანა შეასრულა - მკითხველები ავტორის უბრალო ნაცნობებზე უფრო მეტი გაგვხადა.

ბადრი ქუთათელაძე

ქუჩა

ქუჩა თავად არის მოწმე
თაობათა გადაფრენის,
ქარი ფოთლებს მიაქროლებს,
აქაოდა -არაფერი.

გაგრა, ივლისი და მაგნოლია

ისევ მოვიდა
თოვლი თბილისში,
ისევ მოვესწარ
ფიფქთა ბორიალს...
და მომენატრა
შენი სიშიშვლე,
გაგრა, ივლისი
და მაგნოლია...
თოვლივით სუფთა
არის ოცნება,
ვერ შეველევი
ზამთარს თოვლიანს...
და მე ყოველთვის
თან მეყოლება
გაგრა, ივლისი
და მაგნოლია.

***

მოთმინებით ვცხოვრობ,
მოთმინებით ველი...
მოთმინებით მიმზერს
მოთმინება ჩემი.

***

არ შემიძლია
ვიყო შენი
კურდღლის
მდევარი...
მე ჩემი მტრედის
სიმსუბუქე
ცაში მიმაფრენს...
ჯერ კიდევ მელის
დასაპყრობად
ჩემი მწვერვალი,
ჩემი კაცობის
ტკივილი და
ჩემი სიმართლე.

***

დრო არ იძლევა უფლებას
გიყურო, დავტკბე ალერსით...
წავიდა ის ფუფუნება
და ის ლამაზი წამები...
დღეს ყველა კართან შური დევს,
გასწრებაზეა ცხოვრება...
და მოგონებებს გირიგებთ,
ჩემს შემორჩენილ ქონებას.

გაზაფხული

წამოიშლება
მთებიდან თოვლი,
კვირტებს ტოტებზე
ალაგებს მარტი...
უკვე ფერმკრთალი,
დაღლილი წოლით,
წამოიშლება
მთებიდან თოვლი.

***

დღეს ერთი გვხიბლავს,
ხვალ კი - მეორე,
ხან სიყვარულიც
დაიგვიანებს...
და ამ ლოდინში
და ამ ჩურჩულში
ვკარგავთ საყვარელ
ადამიანებს.

ნინო დარბაისელი

მამიდაჩემი სემირამიდა

ამასობაში მამიდაჩემიც დაბერებულა.
დაბერებულა მამიდაჩემი,
ნეტა, ვინ უნდა მოუაროს?
მამიდ, მიშველე, მიშველე-მეთქი,
მუხლებზე როგორ ვეხვეოდი,
მუხლზევით რომ ვერა ვწვდებოდი
და ისიც ფიცხლივ,
კალთისფერთხვით ამიტაცებდა,
გადაყვლეფილებს ჯერ უბრალო
მარილწყლით მბანდა,
მერე იოდსაც სულისბერვით
გადამისვამდა.

მამიდაჩემი,
ჩემი ყველაზე იმწამსაგამჩენი
და ხელისგულზე სულგუნიანი
ერბოკვერცხის ჩემთვის შემწველი,
გაუთხოვარი,
მაგრამ არა - კარგუნახავი.

"რატომ? მითხარით, ამიხსენით,
გამაგებინეთ!"-
ვევედრებოდი როცა დიდებს
ცრემლთამყლაპავი,
ხოლო ისინი მპასუხობდნენ,
,,მე ასე მინდა'' ანდა ,,საჭირო ასეაო'',
და ნანგრევებში მიყოლებდა როცა
გოდოლი,
რამის უთქმელად შუა ბაბილონს
გამარიდებდა
და უნაზესად კეფისა და ზურგის ფხანით
მიმარინდებდა და მირინდულზე ყველა
კითხვა,
ყველა პასუხი
მისი ნაწყობი ტუჩ-კბილიდან
გადმოსხივული ღიმილივით ნათელი იყო.
ჩემი ნათელი,
ჩემი,
ჩემი,
ჩემი მამიდა!

მერეც, გვიანაც,
მამიდასთან დავრეკავ-მეთქი,
ვეუბნებოდი სწორებს,
როდესაც რამე კითხვაზე
უიმედოდ პასუხს ვეძებდით.
ყოფილა ისიც,
მოულოდნელად შუა ლხინს რომ
გავეცლებოდი,
მამიდაჩემი ვერ არის კარგად,
აფთიაქიდან რაღაც წამალი
სჭირდება-მეთქი,
დავუყვებოდი მერე სულელურ მაღაზიებს,
იმათ ვიტრინებს,
შებინდებულზე ფიჭა-ფანჯრების
თაფლისფერ შუქით გულს ვიტკბილებდი
და ასე, მარტო ვეხეტებოდი.

მამიდაჩემი!
ჩემი მამიდა,
ვინც ჩემი პირით მოკითხვას და
სამძიმარსაც არასოდეს გიგვიანებდათ,
ვინც ვერასოდეს ვერავისაც ვერ გაგაცანით,
ასე, შორიდან ვინც გამეგობრეთ,
ვინც ცხოვრებაში არასოდეს არცა მყოლია,
ვინც სიბერემდე წარმოსახულ
მეგობრად მომყვა,
მამიდაჩემი,
ჩემი მამიდა!

ჩემო მფარველო, დევნით დაღლილო,
თვალცრემლიანი რად გელაღები!
დიდებულება მიყვარდა შენი,
ჩემთვის გაშლილი იალაღები,
შენი ბაღები - ცაში ნაშენი,
ღიმილი შენი - ცის გასაღები,
დაკიდებული შენი ბაღები,
გადახლართული ვარდის თაღები,
დაულექავი გულში - ღამი და
თვალზე - ნამი და
შენ, დედოფალო,
სემირამიდა,
მამიდაჩემო,
ჩემი მამიდა!

ლოცვა უსირცხვილობისათვის

ღმერთო, უშველე იმ გოგონას,
გამხდარს,
გალეულს,
რაღაც, ირიბად რომ იარება,
დახედე, ღმერთო,
როგორ მოხრილა მხრებში,
როგორ ამობურცულა, ღამის დამხობილ
ფიალასავით,
სკოლიოზისგან კი არა და,
რომ იღლიებქვეშ შეიმალოს
ადრეულა, მკვახე ლეღვივით გამოსული
ძუძუკოები.

ისიც არ ვიცი,
რა საშველი მოგეძევება
მისთვის, ვინც თამაშ-თამაშობით,
ბწკენა-ბწკენობით,
შეიტყუეს ვითომ თავისმა,
ვითომ, ვითომ...
ამქვეყნად ვისაც ყველაზე მეტად
ენდობოდა,
და დაიამეს საკუთარი სარცხვინელი,
სარცხვენალი თუ სარცხვინალი
და პირზე შიშის კლიტე დაჰკიდეს
და გასაღები ადიდებულ მდინარეში
გადაუძახეს.

მას არასოდეს გაუგია სიტყვა ,,ინცესტი”,
მაგრამ მან უკვე კარგად იცის,
როგორია,
როცა ყველაზე საყვარელი ადამიანი,
ყველაზე სანდო,
უცებ ყველაზე საზიზღრად და უნდოდ
გაგწირავს,
თან თავს გაწირვად არც ჩაუთვლის...
ხოლო რაც მოხდა,
როგორც მოხდა,
დედის ყურსაც კი არ ეგება,
რადგან დედასაც,
დედის დედასაც,
და დედის დედის...
ძირისძირამდე
ჩაულურსმნეს,
ჩაუქვავეს,
ჩაუცემენტეს,
რომ
ნეტარება სუსტს კი არა, ძლიერს ერგება
და მსხვერპლი - მუდამ დამნაშავეა
და რაც შინ ხდება, შინ უნდა დარჩეს!

ხოლო სირცხვილის იმ საუკუნო ხის
ტოტებზე
ზეწრით ან ბაწრით თავჩამომხრჩვალებს
ღამღამობით მოჩიფჩიფე ქარი აქანებს
და სიბნელეში მონოტონური ჭრიალი ისმის:

-სირცხვილი - შენი!
მსხვერპლი მუდამ დამნაშავეა!

-სირცხვილი - შენი!
მსხვერპლი მუდამ დამნაშავეა!

-სირცხვილი - შენი!
მსხვერპლი მუდამ დამნაშავეა!

ეს გოგონაა ქვეყნად რამდენ ქალში
მტირალი,
მუდმივი შიშით მიკუნტული ერთ ბნელ
კუთხეში,
გულჩათხრობილი,
ხმაგაკმედილი.
რა უყოს ქალმა,
ტუჩდაკბენილ იმ გოგონას რა უსაშველოს
ვის რა მოჰკითხოს ან ვის რაღა მოეკითხება!

ქალთა ღიმილი ზოგჯერ რამდენ გაუმხელს
ფარავს,
სირცხვილის კომბლით რომ დასდგომიან,
ვით ცხვრების ფარას,
რადგან დამკარგავს ამტყუნებენ, არა -
მომპარავს,
ღმერთო, უშველე გოგოებს და ქალებს
უშველე,
ღმერთო, არიდე გვერდით - მხეცი და
ფიქრი - ბეცი,
მიეცი ძალი, გაარჩიოს მართლისგან ცილი,
ღმერთო,
მიეცი უსირცხვილობა თავისი წილი!
რაკი ძლიერთა გულწრფელობა -
უტიფრობაა,
ეს იყოს მისი არა - ხმალი, არამედ ფარი.
დე, იყოს იგი უსირცხვილო და უტიფარი,
აღარასოდეს არ დაფაროს არდასაფარი!

ამინ!

ერთი პოეტი

ორმოცი წელი წყაროდან წყალი
საცრით რომ ზიდო,
ალბათ ერთხელაც, ცოტას მაინც,
სადმე მიიტან.
მე აღარა ვარ იმ ასაკში,
რომ ადამიანს სიმართლე ველარ შევუბედო,
თუნდაც ემწაროს,
და აი, ვამბობ:
- მაგ პოეტისა ზეპირად - არა,
მაგრამ ისე კი, კარგად ვიცი ყველა
სტრიქონი,
ყოველი რიტმი,
ყოველი სახე,
ქვეტექსტები თუ კონტექსტები,
ლექსის გარე თუ შიდა ფორმა,
და დასკვნის სახით, შემიძლია
გამოვაცხადო,
რომ მთელი მისი შემოქმედება თუ რამეს
უდრის,
ეს არის ღვინო,
ოღონდ შაქარზე და ჭაჭაზე დაყენებული,
გამოცდილები ოპტიმალური ფერისა და
არომატისთვის,
პროპორციულად, ნატურალურსაც რომ
შეურევენ.
მათრობელაა, თანაც, ხშირად ნამდვილზე
მეტად,
მაგრამ ეს თრობა - შიგ გარეული სპირტის
ბრალია,
ამის გამოა, რომ თუ მაინც შეგიყოლია და
მიეძალე,
ნაბახუსევზე საშინელი პირის სიმშრალე,
ოფლიანობა,
თავის ქვასავით დამძიმება
და საფეთქლების დაბეჟილივით ტკივილი
იცის.
გამოფხიზლდები,
პირს დაიბან,
გამოხვალ გარეთ,
ამოისუნთქავ და შემოდგომის მინაზებულ
მზეს რომ ახედავ
ათამაშებულ ქუთუთოებში
ჭყინტი ყველივით წვენმომდგარი ემაგ
თვალებით,
გინდა გჯეროდეს, რომ დაივიწყებ
და არც ვინმეს ემახსოვრება,
რამ აგიტანა,
აგაცეტა,
მაინც რა იყო!

სინამდვილეში,
მე ერთ სტრიქონსაც ვერ ვიტან მისას,
მისი სახელის ხსენებაც კი ხანდახან
მზარავს,
ავტორისავით ხელოვნურად
გადაპრანჭულის,
უთავმოყვაროდ კუდში რომ დამდევს.
უცხო თვალთაგან გარიდებული
დროს მოვიხელთებ და გამწარებით თავზე
დავყვირი,
შემეშვი- მეთქი,
დამღალე- მეთქი
მოიკუნტება,
მოსაწყლდება
და ლამისაა, ხელში ჩამაკვდეს.
განა არ ვიცი, თვალთმაქცია,
გამომიჭირა და ვერაგულად ეთამაშება
ჩემს გულჩვილობას,
სად წავიდეო,
მიშველეო,
ცრემლის გუბეში ჩამახედებს,
თავს დამანახვებს.
ეყოფა,
მორჩა!
სტრონი ვარ-მეთქი,
რით ვერ გაიგე,
სტრონი,
სტრონი!
ამერიკელი დისენტური დიასახლისი.
რაის - პოეტი,
რაის - ნინო დარბაისელი!

თქვენ კი, ერთს გირჩევთ.
ჭირად და ლხინად მეც ვეყოფი,
ისიც - მეყოფა.
ცხოვრება ისე ხანმოკლეა,
თუ მოგენატროთ, აგერ ვდგავარ,
თქვენთვის მღიმარი,
იმ აბდაუბდა დარბაისელს
სათოფეზეც არ მიეკაროთ.



“საქართველოს 100 ბრძოლა” (დამხმარე სახელმძღვანელო)

საქართველოს და ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული აქვთ. დადასტურებულია და საყოველთაოდ აღიარებულია მისი ლეგენდარული საბრძოლო ტრადიციები.

მისი 3000-წლოვანი ისტორია აღსავსეა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უმაგალითო მამაცობითა და გმირობით, მისი საამაყო და სათაყვანო შვილების გამჭრიახობამ, გონებამახვილობამ, დაუმორჩილებლობამ და გაუტეხლობამ სძლია აურაცხელი გადამთიელი მტრების შემოტევებს.

მხოლოდ ისინი, ვინც ძლიერნი იყვნენ ბრძოლაში, სულით გაუტეხელნი, გამრჯენი და ბეჯითნი, გადაურჩნენ დროის მსახვრალ ხელს, მოსპობას, განადგურებას და არსებობისათვის ბრძოლაში შეითვისეს საომარი, გონებრივი და ფიზიკური შრომის მიზანმიმართული წარმართვის მოწინავე სამხედრო ხელოვნება.

საქართველოს ისტორიის მანძილზე სამშობლოს დაცვა ყოველთვის უპირველესი საზრუნავი იყო, ამიტომაც ძველთაგანვე, როცა საშიშროება გაჩნდებოდა, საქართველოში ხან შეიარაღებული რაზმები იქმნებოდა, ხან ლაშქარი იკრიბებოდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიაში მომხდარი ყველაზე ცნობილი 100 ბრძოლა, რა თქმა უნდა, უფრო მეტიც იქნებოდა, მაგრამ აქ ლაპარაკია ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლებზე.

ავტორების - ცნობილი ქართველი სამხედრო ისტორიკოსების, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის დოქტორის, პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძის, ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის მამია გოგოლაძისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ისტორიის აკადემიური დოქტორის, სრული პროფესორის გიორგი ბეჟიტაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი და შექმნეს შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც ასე საჭიროა დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისათვის და იმ პირებისათვის, რომლებსაც აინტერესებთ საქართველოს და ქართველი ერის სამხედრო ისტორია.

გულითადი მადლობა მათ, ამ მართლაც რომ საშვილიშვილო საქმისათვის.

ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები უნდა გამოვამზეურო‌ოთ, რაც, უდავოა, თავის წილ წვლილს შეიტანს ჩვენი ქართული არმიის პირადი შემადგენლობის სწავლების და მათი ცოდნის უფრო მაღალ დონეზე აყვანის საქმეში, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის სამხედრო ისტორიის მკვლევარებს დაეხმარება, სახელმოხვეჭილი წინაპრების გმირული ბრძოლების გათვითცნობიერებაში და შესწავლაში.

ზაზა ჯაფარიძე

სსიპ დავით აღმაშენებლის
სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის
აკადემიის რექტორი,
სოციოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი

სილვა ქემერტელიძე

სილვა ქემერტელაძე გერმანიაში მოღვაწე ქალბატონია. ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მას საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიანიჭა.

***

არც მაცილებენ და არც მხვდებიან,
დავფრინავ ჰაერში, დაბნეულ ნისლივით,
არც მპატიობენ, არც ბოდიშს მიხდიან,
ფიქრებს დავატარებ უაზრო ტვირთივით.

ოდეს მოვუხმობ ძალას ნებისას,
ჩემს ფრენა-გაფრენებს მწკრივში დავალაგებ,
გაცილებას და დახვედრას მოვუწყობ,
ცივ ნიავს ახლოსაც არ მივაკარებ.

***

ზამთარმა თოვლით
დაფარა მთაწმინდა,
მძინარე დათვივით,
საბანქვეშ ნებივრობს,
ფიფქების ფანტელთა
ფერხული გახშირდა,
ახალ წელს ზღაპარი
ნაძვებში ზეიმობს.

***

წვიმა ფიქრებს აბანავებს
ხელუხლებლად, ფაქიზად,
წარსულ ნისლების მონაგონს
ეფინება თილისმად.

წვეთ-წვეთ ვავსებ შემოდგომას,
ფოთოლ-ფოთოლ ვეცლები,
ცრემლებს წვიმას გავაყოლებ,
შიშველ ხეებს ვევლები.

ცამ ღრუბლები შვებით ცალა,
თავს დამატყდა უეცრად,
წვიმამ აზრები დაცალა
და დამტოვა უმეცრად...

***

ედემის ბაღში,
ბერლინის გულში
ჩიტებს და ყვავილებს
მივანდე ნანატრი.
დედის ალერსივით
სიო მეფერება,
მუსიკა მომესმის
ბახის და ჰაიდნის.
აქ ჰარმონია სუფევს,
ზეიმობს,
წესი და რიგი -
ფერხულში ჩაბმული
და მენატრება
ჩემი თბილისის
ედემი ქართული.

გიული მურადაშვილი

ქარიშხალი

იცოდა კი ქარიშხალი დედამიწიდან შორს, რომელიღაც უცხო მხარეში?! ასეა თუ ისე - იქაც, ისევე როგორც ჩვენში - მიდამო იყო ღვთის ანაბარი.

იმ მხარეში ეზო-კარმიდამო ჰქონდათ მზის სხივით ნაქარგი; ნავარდობდა ერთი ციდა შვილიშვილი - ანცი, სიფრიფანა, მოუსვენარი; მიუყვებოდა წარმტაც სხივებს თამაშ-თამაშით; გაიხედ-გამოიხედავდა დიდედა, იქ გაჩნდებოდა - ახლო იყო თუ შორი, გააქანებდა შვილიშვილს სახლში.

ავან-ჩავანს აქეთურნი ალბათ მისხალ-მისხალ ვერ შეიტყობენ, თუმცა რაღა თქმა უნდა იმას, რომ დიდედები „ამ მთისას“ თუ „იმ მთისას“ უჩიჩინებენ.

გაუდგა დედა გზას და, შვილმა იდროვა: იბურთალა ზღვასავით მოლივლივე სივრცეში; გადაქანცული მიეფიცხა მზის ანარეკლით აგებული ეზოს მესერს; მოიხელთა, უამბო დიდედამ ჭრელი ამბავი; უსმინა ისე, სხვათა შორის, ერთ ხანს სმენად გაიკრიფა:

„გველეშაპის კბილები რომ დათესა, მიწიდან უეცრივ თავი ამოყვეს შეია რაღებულმა მეომრებმა; გმირი მზად იყო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებრძოლებოდა ანაზდეულად მოვლენილ მტერს“.

(„კადმოსი და თებეს დაარსება“) - დიდედას არ გამორჩა შვილიშვილის ყურადღება და ჰკითხა:

- მოგწონს ზღაპარი?

- შვილიშვილმა იმარჯვა კრიტიკა: ზღაპარი კი არა, მითია; ხუთი რჩეული მეგობრის დახმარებით გადარჩა; ხალხის თქმულებით ფინიკიიდან მოტანილი ანბანით წერა-კითხვა ასწავლა, ლითონის, მადნეულის დამუშავება.

- სხვა რა გზა ჰქონდა? დიდედამ თავი იმართლა:

- ოცი ათასი წლის გავხდი; შენ პატარა ხარ, რაღაც ცხრა ათასისა;

- დაეჯერებოდა; ზღაპარი კი არა და, ერეოდა სიზმარია თუ ცხადია; ესღა შემორჩა სიფრიფანა ხელებს ლოცვად აღაპყრობდა;

* * *

„გაიხსნა ცალაჟვარდი, ახარეს ულამაზესმა, კამკამა ანგელოსებმა...

მზეწნული ბილიკი ენძელებით დაფენილს დაემსგავსა - დედა დაბრუნდა; რაკი დარწმუნდა, რომ რიგზე იყო ყველაფერი, მგზავრობით დაქანცულს ჩაეძინა;

ეძინა 1000 წელი; იქაურებისთვის კი 1000 წელიწადი ორიოდე წამია;

როგორც კი გაიღვიძა - ახალი ამბების შესატყობად შორს წავიდა, გაცისკროვნებული ბილიკით იარა:

იმ დროს ღრუბლების ფონზე იუპიტერის თანამგზავრის, „იოს“ ჩრდილი წამში 17 კილომეტრის სიჩქარით მიცურავდა;

მზე როცა იყო ზენიტში, ოკეანეს სხივი 1000 მეტრის სირღმეზე უწევდა.

პირამიდებზე სარკეების ჭრილს შეეძლოთ სხვადასხვა დროსა და სივრცეში გადაყვანა.

* * *

შორი ქვეყნის ბინადარმა პატარამ ნაჩუქარი წიგნი გადაშალა; არაჩვეულებრივი, ჯადოსნური ფურცელი ზედმიწევნით სახავდა; იქცეოდა სტრიქონი საზღაპრო ამბად:

მოსახლეობამ გუმანით იგრძნო საფრთხე; ქუჩაში დენა დაიწყო ხალხის ნაკადმა;

მტერს მცოცავი, მოიერიშე რაზმი ყავს; ერთი ხოხვით მიიწევს; მეორე ცეცხლს ხსნის მის უკან.

იწვის შენობები;

„ბოევიკები“ ავტომატებს უღერებენ, - გმირებს გამეხებული სახე აქვთ, თავი ვაჟკაცურად უჭირავთ;

...მიდიოდა რომელიღაც ქალი ჰოსპიტალში მეგობრის სანახავად - ქალაქის უკაცრიელი, განაპირა მხარე უნდა ევლო; ჩასაფრებულებმა ყვავილები აჩუქეს გზადმიმავალს - გააქვავებდა თვალისმომჭრელი ის თაიგული, თუ შერჩებოდა;

დღე იყო მშვიდი; უეცრად ღრუბელი გახშირდა;

ქარმა იმძლავრა, ითარეშა; გრიგალმა ავისმაუწყებელი ყვავილები - ხედვის დამხშობი ზათქით და ხმაურით გაიტაცა, დაშალა.

ცოტა ხანში ნაირფერი ველი მზეს შეხაროდა;

ზნეკეთილი ბავშვების ჟივილ-ხივილი დედამიწიდან ცას წვდებოდა:

- ანგელოსმა ჩაგვიარა;

- სამოთხის ფრინველმა.



ბაგრატ ბადიდი

„სხვა ხალხის ისმის აქ ჭრიამული“ ანუ ღია წერილი ქალბატონ თაკო ჩარკვიანს

„გრიგოლ ვაშაძე კულტურის მინისტრი იყო და მწერლებს სახლი დაუბრუნა. ეს ვერავინ სხვამ ვერ გააკეთა. მან შეძლო მიხეილ სააკაშვილის დროს“.

თაკო ჩარკვიანი

ეს ლექსი ავტორმა კარგა ხანია მოგვაწოდა, მაგრამ არ გამოვაქვეყნეთ არჩევნების დამთავრებამდე დელიკატური მოსაზრებით. ახლა ვაქვეყნებთ, რათა ხალხმა სიმართლე იცოდეს.

რედაქცია

ძვირფასო თაკო, მოქალაქე გრიგოლ
ვაშაძემ,
ვისაც ნამდვილად არ აკლია ჭკუა-გონება
და ვისაც ხალხში გამოჩენის რაღაც შანსს
აძლევთ,
არ დაუბრუნა ქართველ მწერლებს მათი
ქონება...

თუმცა ბევრია ამ თემაზე სალაპარაკო,
მაგრამ ვეცდები მოკლედ მოვჭრა,
ძვირფასო თაკო:

მწერალთა კავშირს თავს დაესხა ღამით
პატრული,
დიდხანს გაგრძელდა ამ შენობის ალყა,
ბლოკადა...
ოპერაცია ჩაატარეს უხეში, მტრული
და ის საკითხი დღემდე მაინც ვეღარ
მოგვარდა.

საქმის არსი და ვითარება ასეთი გახლავთ:
რომ ის შენობა „მწერალთა სახლს“ უჭირავს
ახლა,
მაგრამ ის „სახლი“ ეკუთვნოდა „მწერალთა
კავშირს“
და ჩამოართვეს უკანონოდ სწორედ რომ
მაშინ,
როდესაც გახლდათ მოქალაქე გრიგოლ
ვაშაძე
მინისტრი, ჰოდა, დანარჩენი თვითონ
განსაჯეთ.

მწერალთა კავშირს მედროვენი და ცრუ
გმირები
დიდხანს კვებავდნენ ტყუილებით, ცრუ
დაპირებით,
ეს იყო მათი აბდაუბდა, აბრადაკაბრა...
მაჩაბლის 13-ს მიამაგრეს ახალი აბრა,
„მწერალთა სახლი“ დააწერეს ლამაზ
აბრაზე
და ეს ამბავი, ჩემო კარგო, დღეს ბევრს
აბრაზებს.

გააჩნდათ მწერლებს სასახლეში ლამაზი
ბაღი,
სამუსაიფოდ შედიოდნენ მწრლები ბაღში,
როცა სასახლე კუთვნოდა მწერალთა
კავშირს,
დღეს სულ სხვა დროა, დღეს იმ ბაღზე
წუწუნი არც ღირს.

მივა მწერალი, ზარს დარეკავს, ხოლო
დარაჯი
არ შეაწუხებს საკუთარ თავს ზედმეტი
გარჯით
და სტუმრად მისულს, აყუდებულს,
ატუზულს კართან,
არც გამოხედავს და შორიდან „დომოფონს“
ჩართავს
და ყურადღებით, უდარდელი ხმის ტემბრით
ჰკითხავს:
„გისმენთ, ბატონო, რა გნებავთ, ვინ ხართ?!“

ნატრობდა ნიკო ფიროსმანი, მკითხველო
ჩემო,
სადმე ფანჩატურს მხატვრებისთვის, ჩაის,
სამოვარს...
თუკი შემოქმედს არ ექნება მშვიდი გარემო,
იქ სახეირო არაფერი აღარ გამოვა.

რატომ არ არის სალაპარაკო
ის, რომ მწერლები, ძვირფასო თაკო,
„ერთ მშვენიერ დღეს“ კინწისკვრით, გარეთ
იმ შენობიდან, რომ გამოყარეს?

დაშლიგინობდა სასახლეში ღამით
პატრული,
დარჩა სასახლე გამოშიგნულ-
გამოფიტული...
მემორიალურ ნივთებს ყრიდნენ
ქუჩაში, თაკო!
ჰოდა, არ არის ეს ამბავი სალაპარაკო?

რასაც თქვენ ამბობთ, არ არის სწორი,
რად უნდა ამას ფიცი და მტკიცი,
იმ გამოგდებულ მწერალთა შორის
ჯანსუღიც იყო, ჩვენ ხომ ეს ვიცით.

და ამას, თუკი არ არის შარზე,
დაგიდასტურებთ გრიგოლ ვაშაძეც.

ეს ჰკითხეთ რეზო მიშველაძეს ანდა
მაყვალა
გონაშვილს ჰკითხეთ ეს ამბავი, ვინც
ვრ დაღალა
ბრძოლამ და მაინც შედეგი ხომ ნულის
ტოლია?

სამწუხაროა, სულ ამაოდ რომ
გვიბრძოლია...
„მწერალთა კავშირს“ ასწლიანი შენობა მათი
დაათმობინეს და ამათაც რა ექნათ, დათმეს.
ქუჩაში გაყრა რაღა იყო... ახალი ფართი
ჯობდა „მწერალთა სახლისათვის“ მიეცათ
სადმე!

მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა მაჩაბლის
თერთმეტ
ნომერში კიდევ ერთი სახლი ანუ სასახლე...
მაგრამ მწერლები იქიდანაც გამოასახლეს...
უსამართლობა, თავნებობა მათ უნდა
შერჩეთ?

მწერალთა კავშირს მიჩეჩეს ძველი „ბარაკი“
და „შენობაზე“ ზედმეტია აქ ლაპარაკი...
იქვე ცხოვრობენ ლტოლვილები... სარეცხის
თოკებს
თავს თუ დააღწევ, ბოღმას მაინც ვერ
დაიოკებ.

რაც არ უქნიათ ბოლშევიკებს, ის გააკეთა
ჩვენმა მთავრობამ: ჩამოართვა შენობა
მწერლებს.
ფაქტს სად წაუხვალ, საქმე გვქონდა აშკარა
მტერთან!
აღნიშნავს ამას ისტორია დიდი ხნის მერე.

„დაგვაბრუნეთო მაჩაბელზე“, - წერდა
ჯანსუღი,
მაგრამ არავინ აღარ გასცა პოეტს პასუხი.

და ყველაფერი, თაკო, დღემდე ასე
გრძელდება,
არ აღმოაჩნდათ ხელისუფლებს
კეთილი ნება.
„დაგვამარცხესო“, - ესეც უთქვამს ჯანსუღ
ცარკვიანს,
ვის რას ერჩოდნენ, ეს ვერავინ ვერ გაარკვია.

მწერალთა კავშირს ჩაუკეტეს შენობის კარი,
იქ დააფუძნეს უხეირო და ამორფული
„მწერალთა სახლი“, გააჩნიათ სახსარი,
ფული,
ჰოდა, ფინალი იმ საქმისა ასეთი არის.

დასჯა მწერალთა კავშირისა იყო ქაჯობა,
თუ „მწერალთა სახლს“ ქომაგობდნენ, განა
არ ჯობდა,
მათთვის მიეცათ სხვა შენობა, თუნდაც
მაჩაბლის
თერთმეტ ნომერში, გვექნებოდა ერთი
ანსამბლი...

მწერალთა კავშირს „ქარბორბალამ“
გადაუარა...
რატომ და რისთვის? რა შევცოდეთ, რა
დავაშავეთ?
დააბრუნებენ მაჩაბელზე მწერლებს თუ არა,
სულაც ცალ ფეხზე არ ჰკიდია გრიგოლ
ვაშაძეს?



გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

თამაზ წივწივაძეს 77 შეუსრულდებოდა.

ნიჭითა და გაბედულებით გამორჩეული კრიტიკოსი და ესეისტი, ობიექტური რედაქტორი, სწორუპოვარი პუბლიცისტი, იუმორითა და სარკაზმით გამორჩეული პოლემისტი – ასე შევიდა იგი ლიტერატურის ისტორიაში.

მას გატკეპნილი გზით სიარული არ უყვარდა.

... პირველმა შენიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის სახით ყვითელი სიკვდილი მოდიოდა.

... პირველი აღუდგა წინ სისხლიან კვალზე მოსულ ნაცხელისუფლებას.

...პირველმა ესროლა ქამანდი ქართული მენტალიტეტის დაუძინებელ მტრებს.

წავიდა და საფლავში ჩაიტანა სამშობლოსთვის ატკივებული გული.

თავისი პირქვედამხობილი ქვეყნის პატრონს მშვიდად რა დააძინებს.

რევაზ მიშველაძე
12.12.2018 წ.

P.S.
რამ ჩაგიყვანათ ქუთაისში გრიგოლ ვაშაძის
მხარდასაჭერად? აპირებდა
პრეზიდენტობას...
განათლებული ქალი ჩანხართ, ხალხიც
გენდობათ
და უნდა იყოთ სანიმუშო და მისაბაძი...

გიხილათ ხალხმა ქუთაისში სანდრასთან
ერთად!
ხომ უნდა იყოთ პირნათელი თქვენს მშობელ
ერთან?
მისი მეუღლის მხარს უჭერდით შინ
დაბრუნებას?
რამ მოგიწამლათ, ქალბატონო, ასე გუნება.
ვერ უპოვია იმ ბედოვლათს თავისი გზა და
გინდათ როგორმე დააბრუნოთ ის
არამზადა?

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ვხედავთ,
ძვირფასო თაკო,
ბევრი რამ ხდება უცნაური და საარაკო.

აკაკი ბაქრაძე - კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

იამზე არველაძე

მეოცე საუკუნის გამოჩენილმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ შემოქმედებითი-სამწერლო საქმიანობა გერმანიაში სწავლის დროს დაიწყო. მას შემდეგ, კალმით და ხმამაღალი სიტყვით სამშობლოს პატივმიგება სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

აკაკი ბაქრაძემ „კარდუს“ სახით შესანიშნავი დოკუმენტური მასალა დატოვა გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ვკითხულობთ: „გრიგოლ რობაქიძეს მძაფრი სურვილი ჰქონდა გამორჩეული ყოფილიყო სხვებში, არა მარტო მსოფლმხედველობით, მსოფლხატით, აზროვნებით, წერის სტილითა და მანერით, არამედ გარეგნობითაც, ჩაცმა-დახურვითაც... მას ქუთაისის სასულიერო სემინარია 1901 წელს დაუმთავრებია წარჩინებულად, მაგრამ ალბათ, თავისი დაუდგრომელი ხასიათის გამო, ამ მხრივ მუშაობა არ გაუგრძელებია. აი, რას წერს გრიგოლი 1902 წლის იანვარში მისდამი დედური მზრუნველობით განსმჭვალულ ეკატერინე გაბაშვილს: „ცხოვრებისგან აღელვებული ვერ ვჩერდები ერთსა და იმავე ალაგას, ხან აქ მინდა ყოფნა, ხან იქა, მაგრამ ამაოდ: ყველაფერი ეჭვის თვალით მეჩვენებოდა, ყველაფერს თავს უარდი. თავის ასაცილებლად და აღშფოთებული სულის დასამშვიდებლად სადღაც განმარტოებულ მინდორ-ველს გავდიოდი... გავდიოდი, მაგრამ იქ უფრო მედებოდა შავ ფიქრთა გროვა და სულით ობოლს ამ ფიქრთა შორის წამდაუწუმ თვალწინ მესახებოდა ერთი ძლიერი კითხვა: რა არის კაცის ცხოვრება? რამდენად ვაკვირდებოდი და ვითვალისწინებდი ამ კითხვას, იმდენად უფრო საზიზღარ-საშიშრად მეხატებოდა ჩვენი ცხოვრება“.

გრიგოლ რობაქიძემ აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა ლექციების კითხვით დაიწყო. მის ლექციებს არა მარტო საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ სახელოვნებოც, ორატორული კუთხით. საერთოდ მისი ლექციები ცხარე სჯა-ბაასის თემა ყოფილა. „გრიგოლ რობაქიძეს ხვდა წილად ქართული აუდიტორიის შექმნა...“ წერდა 1911 წლის 28-ში გაზეთი „თემი“. გრიგოლ რობაქიძემ დაუმტკიცა ქართველ საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენებით სავსეა“.

მეოცე საუკუნის ათიანი წლები ქართული მწერლობის განახლების წლებია. გრიგოლ რობაქიძე ამ განახლების აქტიური მონაწილეა. იგი იმდროინდელ ქუთაისზე მჭერმეტყველ ზეშთაგონებით საუბრობს: „თავნება ქალაქი. იგი უთუოდ გენიალური გამოვლენაა მეტაფიზიკური „ობივატელშჩინისა“ და თან მეტად თავისებური. ის, რაც ნიცშემ თქვა საშუალო ელინზე, მთლიანად მიესადაგება ქუთაისელ ობივატელს: გენიალურობის თვისება გენიალურობის თვინიერ არსებითად სამშვინველისა და ხასიათის ერთობ სახიფათო თვისებაა“...ქუთაისი „ეპიგონია“ თავისი არსით. იყო რაღაც ნამდვილად მშვენიერი და დიდი, ახლა კი ნამდვილად ლამობს იყოს ასეთი“.

„ცისფერი ყანწების“ პირველსავე ნომერში ტიციან ტაბიძემ გრიგოლ რობაქიძე ახალი ლიტერატურული ორდენის თავკაცად გამოაცხადა... „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ... საფიქრალი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღელვება გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიაც მონახავდნენ ფიჩხებს ინკვიზაციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრ.რობაქიძეს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესტეტიკური კულტურა გრ. რობაქიძისადმი...გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია“.

„გრიგოლ რობაქიძემ კიდეც მიიღო და თან არც მიიღო ეს თავკაცობა. ასეა თუ ისე, არსებითი და მთავარი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა თაობამ გრიგოლ რობაქიძე ცნო ლიტერატურულ რეფორმატორად“. ასკვნის აკაკი ბაქრაძე.

მარტო მწერლობაში არ დგებოდა ახალი ხანა. რუსეთის მონარქიული იმპერია ინგრეოდა. გარედან პირველი მსოფლიო ომი აზანზარებდა, შიგნიდან - ამბოხებული ხალხი. იმპერიის მოსახლეობა სულმოუთქმენლად ელოდებოდა ეროვნული და სოციალური თავისუფლების ეპოქის დადგომას. ეს დღეც დადგა. 1917 წლის თებერვალში რუსეთის მონარქია დაემხო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თვალუწვდენი ქვეყანა ისევ ანარქიამ მოიცვა. დაიწყო გაუგონარი განუკითხაობა...საქართველომაც ისარგებლა ამ შემთხვევით. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ეს თავდაცვის გზაც იყო და, მეორე - აესრულებინა საქართველოს საუკუნოვანი თავისი ოცნება - აღედგინა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. იმ ხანებში არც საქართველოში იყო დამშვიდებული ცხოვრება, მაგრამ რუსეთთან შედარებით მაინც წყნარად გამოიყურებოდა. თბილისში თავშესაფარს ეძებდნენ და თავს იყრიდნენ მოსკოვ-პეტერბურგიდან გამოქცეული მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. მოულოდნელად თბილისი გახდა რუსული ავანგარდიზმის ცენტრი. 1917 წლის 25 ნოებერს პოეტ იური დეგენისა და მხატვრული საზოგადოების მიერ გაიხსნა ლიტერატურული კლუბი „ფანტასტიური კაბაჩოკი“. ვის არ ნახავდით „კაბაჩოკში“: გრიგოლ რობაქიძეს, სერგეი გორდეეკის, ტიციან ტაბიძეს, და ძმებს ზდანევიჩებს ილიასა და კირილეს, ლადო გუდიაშვილს და სხვებს, ერთი სიტყვით ყველას, ვინც მწერლობა-ხელოვნების კერპს ემსახურებოდა.

ლიტერატურული ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. თანდათანობით მკაფიო ხდება, რომ აუცილებელი იყო საერთო-სამწერლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამ საქმის მეთაურები გახდნენ კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, დავით კოპალი (კოპალეიშვილი), ლევან (ლელი) ჯაფარიძე, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე. მათ შედგინეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება. მოამზადეს და ჩაატარეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობა. ყრილობამ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი შექმნილად გამოაცხადა. ამის განხორციელებას თითქმის ორი წელიწადი - 1919-20 - დასჭირდა.

„შეგვიძლია დავასკვნათ“, ამბობს „კარდუში“ აკაკი ბაქრაძე: გრიგოლ რობაქიძე ქართული კულტურის სამ დიდ პრაქტიკულ საქმეს ემსახურა.

ა) საგანმანათლებლო მიზნით და ახალი ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა-გასავრცელებლად კითხულობდა საჯარო ლექციებს.

ბ) უწინამძღვრა ქართული ავანგარდიზმის შექმნას და ამით ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას.

გ) კოლეგებთან ერთად ჩამოაყალიბა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

გრიგოლ რობაქიძე სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჩამოყალიბებიდანვე გამოთქვამდა აზრს, რომ მწერალთა კავშირი უნდა ძერწავდეს და წინამძღოლობდეს: აკადემიებს, გაერთიანებებს, საზოგადოებებს კულტურული განხრით.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ორი წელი და ცხრა თვე იარსება. გრიგოლ რობაქიძე წერს: „მაშინ მე მთავრობის საქმეთა სამართველოში ვმუშაობდი, როგორც ლიტერატურული დამმუშავებელი მთავრობის დადგენილებათა“. თუმცა იგი პოლიტიკურ მოღვაწეობას მაინცდამაინც სახარბიელო საქმედ არ თვლიდა, პოლიტიკოსებზე წერა უყვარდა. ნოე ჟორდანიასაც ხოტბა პირველმა შეასხა: „ქართველი პოეტისათვის საამაყოა პირდაპირ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე - მწერალია ნამდვილი. თუ სტილი არა, ჟორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვს. ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ჟორდანიას გარეგნობაზე კი წერს: „ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის.. ჟორდანია რასსიული ტიპია საქართველოსი, მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა ცეცხლი სიავის“...

1921 წლის 26 მაისის ზეიმზე სიტყვით გამოსულან ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, სერგეი კიროვი, გრიგოლ რობაქიძე. 26 მაისიც უღიარებიათ დამოუკიდებლობის დღედ. ამ დღეს რუსთაველის ძეგლისთვისაც ჩაუყრიათ საფუძველი. სიტყვით გამოსულ გრიგოლ რობაქიძეს ამგვარად მიუმართავს საზოგადოებისათვის: „ამხანგებო და მოქალაქენო! დღეს 26 მაისს, საძირკველი ჩაეყარა შოთა რუსთაველის ძეგლს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დიდი რუსთაველის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს... საქართველო ავლენს მცირე აზიის მთელ სივრცეზე განფენილ მნიშვნელოვან კულტურას. ამ კულტურის გამოჩენილი გენიოსის შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკველის ჩაყრა იძენს უზარმაზარ აზრს. მუშათა და გლეხთა მასები განსაკუთრებული ინტერესით შეეგებებიან ამ ძეგლის გახსნას.

დე, ეს ძეგლი, სიმბოლო ქართული გენიის უნივერსალურობისა, იყოს აღმოსავლეთის მთელი კულტურისა და მისი ხალხების დამოუკიდებლობის მონუმენტი. ეს ასე უნდა იყოს და ძეგლის გახსნის მომავალი დღესასწაული იქნება ზეიმი მცირე აზიის ყველა ხალხისათვის.

დიდება თავისუფალ საქართველოს! დიდება განთავისუფლების დღეს - 26 მაისს! დიდება შოთა რუსთაველს“.

გრიგოლ რობაქიძე 1921 წლის აპრილში - ერთი თვით ადრე დაუნიშნავთ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელოვნებო კომიტეტის თავჯდომარედ და სიტყვაც იმიტომ ათქმევინესო. 1925 წლის აგვისტოში იგი დააქვეითეს. მთავარი სახელოვნებო კომიტეტის თავჯდომარეობიდან თავჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. მის ადგილზე დანიშნეს კომისარი სახალხო განათლებისა დავით კანდელაკი. საგულისხმოა, როგორ ახასიათებს მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე თავად დავითს: „კანდელაკი მოვიდა რუსეთიდან. ჯერ კიდევ ახალგაზრდა. პირწავარდნილი მუსსოლინი. დიდი ნიჭით იყო დაჯილდოვებული, ამასთანავე უშიშარი. ქართულ საქმეს ექცეოდა როგორც ნამდვილი მამულიშვილი“...

აკაკი ბაქრაძე განსაკუთრებული მსჯელობა-ანალიზით მიმოიხილავს გრიგოლ რობაქიძის ფენომენს, როგორც გრალის თასის გადარჩენის თავგადაკლულ მეხოტბეს და კარდუს - ქართველთა მსოფლხატის ჩამომყალიბებელს: „გრიგოლ რობაქიძემ დიდი შრომა შეალია თავისთავის, ანუ ქართველთა მსოფლხატის მოძებნას. მისმა ძიებამ ორი მიმართულებით ჰპოვა გამოხატულება - წმინდა გრაალის ახალი ლეგენდის შექმნით და კარდუს კერპის ჩამოყალიბებით: გრაალის თემაზე მსოფლიოში უზომო მასალაა შეთხზული, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ლეგენდისა და მითის ართური უფრო ენიაზებოდა. ლეგენდის ართურის სამეფოს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. იგი თითქოს მარადიულად არსებობს და არც გეოგრაფიული საზღვრები აქვს. გრაალის სულ სხვა ვარაინტს ქმნის გრიგოლ რობაქიძე. ქართველი მწერლის გრაალი არც კრეტიენ დე ტრუას გრაალს ჰგავს და არც ვოლფრამ ფონ შენბახისას. გრაალის მცველნის პროტაგონისტი ლეგენდარული ორბელი კითხულობს ლექსს, რომელიც ახალ გრაალს გვიხატავს. უფსკრულის პირას დგანან უკანასკნელი რაინდები. მტრის მორჩილებას ამჯობინებენ სიკვდილს. ისინი ატარებენ რელიქვიას - წმინდა ნინოს ჯვარს, ვაზისგან გამოჭრილს და მისი თმებით შეკრულს. ის იყო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს გადაშვებულიყვნენ წკვარამში, რომ პაწია გოგო შემთხვევით შეეხო ჯვარს. დაინახეს: გამხმარი ხე აყვავდა. ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა. აქამდე სასოწარკვეთილი რაინდები ზეადამიანური ძალით აღივსენ. უძლეველნი გახდნენ. თუ ევროპულ ლიტერატურაში გრაალის გუშაგები რაინდები არიან გრიგოლ რობაქიძის რომანში გრაალის მცველნი - აქ ისინი „ანგელოსები“ - რაინდები - მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლებია.

ქართული მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძე აყენებს „კარდუს“. იგი გრიგოლ რობაქიძის გამოგონილია. „ჰო, კარდუ არის ჩვენი მისტიკური თაურმგენი და დგას ის მზის ნიშანში. იგი არის პიროვნება და ამასთანავე არ არის პიროვნება“.

გრიგოლ რობაქიძეს კარდუს შინასახე ასე წარმოუდგენია: „ქართველისათვის არსებობა-ყოფიერება ლხენაა, ზეიმია, ხალისია. მისი დევიზია: გაახარე-გაიხარე. მისთვის მზე და ღმერთი ერთია...მზეც და სიცოცხლეც მუდმივი წვაა, ოღონდ უფერფლო. ხალხის სულიერი მეთაურიც (მღვდელი) და საერო ხელმძღვანელიც (ხელმწიფე) მარად უნდა იწვოდეს, რომ თავადაც განიწმინდოს და ხალხიც გაწმინდოს. ხელმწიფობა სიმართლეს უნდა ეფუძნებოდეს. სხვაგვარად ვერც მმართველი იქნება მართალი და ვერც ხალხი. მართალი, წმინდა , ხალისიანი ხალხი თავნებობას არ უნდა ემორჩილებოდეს, თუ არ სურს დასჯილი იყოს. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ის რაც მითიურში არსებობდა, არსებობს დღესაც. მისი მარადიული დაბრუნების კონცეფციით, ყველაფერი მეორდება, რაც იყო კვლავ ბრუნდება. ამ იდეას თუ გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვიწამოთ, რომ ერსაც დაუბრუნდება ის რაინდული თვისება, რაც მას ჰქონდა“...

გრიგოლ რობაქიძე ერთგან წერს: „ფინანსურად წელგამართულმა რომ იცხოვრო, არ კმარა არც სახელოვნებო კომიტეტის თავჯდომარეობა, ანდა მისი მოადგილეობა. არც მწერალთა ფედერაციის თავჯდომარეობა კმარა (ბატონ გრიგოლს - ოვანეს თუმანიანის სამგლოვიარო ოფიციოზის გამოცხადებისას, ახალი მწერლობის თავჯდომარედ მოიხსენიებს ნინო ტაბიძე), თუმცა პროფესიული მწერლური მოღვაწეობით საქართველოში თავს ვერ ირჩენ. საქართველო არც ევროპაა და არც რუსეთი, სადაც ჰონორარით მწერალმა შეიძლება სიმდიდრეც კი მოიხვეჭოს. ჩვენში მწერალს ნივთიერად ყველა დროში უჭირდა“...

გრიგოლ რობაქიძის მიერ საუკუნის წინათ - ქართველი მწერლის ბედზე წარმოთქმულ სიტყვებს, დღესაც ყავლი არ გასვლია. იგივე მეორდება მის მიმართ. ქართველ მწერალს თითქოს მემკვიდრეობად ერგო - დაუფასებელი შრომა-მოღვაწეობა. იგი, როგორც ქრისტიან-პატრიოტი სამშობლოს პათოსით გულანთებული განაგრძობს ქართულ - მსოფლიო მნიშვნელობის სიტყვასთან ჭიდილს. უკანასკნელი ლუკმა-პურის ხარჯზე ბეჭდავს წიგნს და თავად კითხულობს, ან მასავით შეჭირვებულ შემოქმედ-ხელოვანს ჩუქნის...დღევანდელ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, - თავიანთი სახლიდან ნაციონალური რეჟიმის მიერ გამოდევნილს და ლტოლვილთა სახლში შეკედლებულს, ისევ ხადაზმული თავდადებული ხელმძღვანელები, - რის ვაივაგლახით უნარჩუნებენ სიცოცხლეს.

ბოლოს დავძენ: მწერლის ფასდაუდებელი მოღვაწეობა უფლის მადლია, - რომელიც მის გენში ბუდობს და ქმედების ძალას აძლევს. ქვეყნის შემოქმედო! არ შედრკე, შენ გრიგოლ რობაქიძის გრაალის მცველის დარად - საქართველოს იმედის თასი ხარ, რწმენა და კულტურა ხარ... სულის თვითშემოქმედი. რომლის მეშვეობით ჩვენი სამშობლო „ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობს”.

შოთა ლეჟავა

***

ხელ-ფეხ-შეკრულ არტახებში,
ჩემო ბიჭო, რატომ ვტირი?
ჩემი აკვნის არტახები
გამიხსენი, მიტომ ვტირი.

ვერ ვისვენებ ჩემი აკვნის
ხელებშეკრულ არტახებში,
თორემ დავგლეჯ, როგორ იცი?
როგორც მგელი ცხვრის ფარეხში.

არ მინდა ჩემს მიწაზე
ბაჯბაჯა ათვის თარეში,
ვეფხისტყაოსნის ქვეყნიდან
არ აღმოვჩნდე რუსის ხელში.

***

მე ცოცხალი როცა ვიყავ
თქვენთან იყო ჩემი გული,
ვერა გრძნობდით, არ იცოდით,
არ გესმოდათ ჩემგან თქმული.

ხომ ხედავ, რომ მე მკვდარი ვარ,
გულს მივხედოთ ქართულს, წმინდას,
ერთად ვიყოთ, ქართველებო,
და მივხედოთ ჩვენს მთაწმინდას.

ქართველებო, ერთად ვიყოთ!

ქართველებო, ერთად ვიყოთ
და ვიმღეროთ ჰერი, ჰერი,
„შენ ხარ ვენახი“ მამული,
ავამღეროთ სოფლის ჭერი.

ნუთუ არ გახსოვს, სამშობლო!

ნუთუ არ გახსოვს, სამშობლოვ,
გიმღეროდი ცრემლით ნანას,
აღარა გთხოვ მე არაფერს,
ნუ დაკარგავ იავნანას.

ნუ დატოვებ ქეთის მარტო,
ნუ ივიწყებ ნამღერ ნანას
და სხვა გულში ჩაიხუტებს
და უმღერებს თავის ნანას.

ნუ დაკარგავ ქართულ მიწას,
ქართულ აკვნის იავნანას,
გაახილე თვალები და
კვლავ იმღერე იავნანა.

მოგტაცებენ იმ შენს ქეთოს,
უმღერებენ სულ სხვა ნანას,
დავარწიოთ ჩვენ აკვნები
და მომავლის ჩვენი ნანა
ეს ქართული იავნანა,
ჩვენი აკვნის იავნანა.

***

არ ვიცი ვინ ვარ,
არ ვიცი რა ვარ,
მხოლოდ ის ვიცი
ვეფხისტყაოსნის
ქვეყნიდანა ვარ.

სოფელო, ჩემო სოფელო!

სოფელო, ჩემო სოფელო,
სოფელო ნატვრისთვალაო,
ამ სოფლიდან ერთმა ბიჭმა,
შოთამ შემოგითვალაო.

გოგოს ვეძებ, ვერსად ვნახე,
ის გოგო ცისფერთვალაო,
შურით და ბოღმით აღვივსე,
სოფელო ნატვრისთვალაო.

აქა ვარ შოთა სოფელში,
მე ვარ აპრილის იაო,
ნატვრისთვალი ვარ, იცოდე,
მე სიყვარული მქვიაო.

ტყეშიცა ვარ და სოფელში,
მიტომ ვარ მე ლურჯთვალაო,
მარგალიტი ვარ ბეჭედში
ჩასმული ნატვრისთვალაო.

ერთი გოგო დამეკარგა
ლამაზი სოფლის თვალაო,
მარგალიტივით ჩასმული
ბეჭედში ნატვრისთვალაო.

მზეო, მზეო ცხრათვალაო!

მზეო, მზეო ცხრათვალაო,
ბიჭმა შემოგითვალაო,
ერთი გოგო დამეკარგა,
ლამაზი, თაფლისთვალაო.

მზეო, მზეო ცხრათვალაო,
გოგომ შემოგითვალაო,
ერთი ბიჭი დამეკარგა,
ლამაზი, თაფლისთვალაო.

ცხრათვალა მზემ გოგოს ჰკითხა,
გოგოვ, გოგოვ, რა ჰქვიაო?
მე ხომ აპრილის ია ვარ,
მე სიყვარული მქვიაო.

გოგომ დილის მზეს შეხედა,
ცრემლები დააფრქვიაო,
ნეტავ ვიცოდე მე იმ ბიჭს
სახელად რაი ჰქვიაო.

ელისო ქიტიაშვილი

შენ გაბრწყინდები

შენ გაბრწყინდები, როგორც რომ
დილით მზის შემონათება,
შენ უკვდავების გვირგვინო,
ღამით ვარსკვლავთა ხატებავ.

შენ გაბრწყინდები ცისკარზე,
ვით ანგელოზის თვალები,
ამაღლდები და იალებ,
მეც გულით გეთაყვანები.

შენ გაბრწყინდები, ვით ზეცა,
როს შავბნელ ღრუბელს გადიყრის,
შენ გაბრწყინდები, თვით დედა
გამზრდელი გმირის, კაი ყმის.

შენ, გამარჯვების სიმღერავ,
მშვიდობავ, ღმერთთა არაკო,
შენ გაბრწყინდები იმედად,
არ დაჩოქილო არასდროს.

შენ გაბრწყინდები, იალებ,
მოვიმკით, რასაც ველოდით
და ჩვენც სულ მალე ვიხარებთ
ახალი საქართველოთი.

შობა-ახალ წელს გილოცავ!

ეგ სამეგობროდ გაწვდილი
თასი გიკურთხოს ღმერთმა,
მშვიდობის წმინდა მანდილით
ჰყოს სამართალი ერთა.

შვილები დაგბრუნებოდეს,
გწამდეს ქართული გულის,
სიკეთე სანთლად დნებოდეს,
არ მოგაკაროს შური.

ომახიანი ქართული
კიდით-კიდემდე სჭექდეს,
ბრწყინვალე მადლით განთქმული,
კვლავ ერთგულებას სჭედდე.

„გიხაროდენო“, - გიმღერდნენ
მოციქულები მუდამ,
ღვთის საგალობელ სიმღერებს
გუნდნი დასობდნენ გუნდად.

არ მოგკლებოდეს სხვა ნიჭი,
გლოცავ გულით და კალმით,
ცრემლით და გლოვით ამ მიწის,
არ ეზეიმოს არვის.

შენი შვილების ლოცვით და
გმირობით გაიხარე,
შობა-ახალ წელს გილოცავ,
ჩემო სამშობლო მხარევ.

***

ჩემო ტკბილო საქართველო,
ჩემო დედასამშობლო,
მეგობრობა სანთლად გენთოს,
მარად ჭირი გაშოროს.

შენ სიწმინდის გადამრჩენო,
მოიშუშე ჭრილობა,
შარავანდად გადგას, ჩემო,
ვაჟკაცობა, გმირობა.

გახსოვს ხმალი სააკაძის,
სალოცავი მამულის,
ძალას მატებს ხნულს გადაშლილს
შენი დიდი წარსული.

სიმართლის გზით კვლავაც გევლოს,
გწამდეს, მტერი იოტებს,
ჩემო დედასაქართველო,
სულ წინსვლისთვის ილოცე.

მე ღვთისმშობლის სიტყვას ვფიცავ,
ჭირში გამოზრდილი ხარ,
მოწმე არის წმინდა მიწა,
სულ სხვაგვარი გმირი ხარ.

დაგელოცოს მოყმე დიდი,
ღმერთი არის განგება,
სამშვიდობოდ მოვლენილი
შუქის შემონათება.

დედას

ვუძღვნი საყვარელი
დედის ეთერ ჭავჭავაძის ხსოვნას

არ მოგვითხრობდი ბოროტებზე რამე
ამბიდან,
მხოლოდ სიკეთე დაგვანახვე ამქვეყნად,
დედა,
დამშვიდობებაც ვერ შევძელი, არა, არ
მინდა,
ჩემო ტკბილო და უწმინდესო მშობელო
დედა.

ვით მოვთვალო შენი ქება-დიდება,
ზეცაშიც რომ ჩვენი სუნთქვა გესმის,
არა, ეს მზე აღარ დაიბინდება,
რადგან შენი სიკეთეა ჩვენში.

წახვედი და დაგვიღამდა დღეები,
მაგრამ არა, საყვარელო დედა,
მაინც გვჯერა, ისევ დაგვიბრუნდები,
ისევ გვესმის შენი გულის ძგერა.

სიზმარივით გაგვიფრინდი, წახვედი,
გვჯერა, ცაშიც ვარსკვლავივით ბრწყინავ,
შენ ჩვენ დარდებს არასოდეს გვახვევდი,
მხოლოდ სულით გამოგვზარდე წმინდა.

შენს საფლავზე ფეხაკრეფით მოვდივარ,
ისევ ცრემლი, გეფერება ცრემლი,
შენზე დარდებს ჩემი ცრემლი მოგიტანს
და მე მხოლოდ უშენობა შემშლის.

წამოდექი, ეგ სამარე ცივია,
როგორ უცებ გაგვიფრინდი, დედა,
შენზე დარდით ბევრს ცრემლები
დაგვცვივდა,
მხოლოდ ტკბილად გვახსენდები ყველას.

დღეები კი მიდიან და მიდიან,
შენს საფლავზე თავდახრილი ვდგავარ,
ღმერთი გვფარავს, ღმერთის ძალა დიდია,
ჩემო ტკბილო, საყვარელო დედა.

ჩემი ხოდაშნელი

ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის სკოლა დაამთავრა. ქართულს სკოლის დირექტორი ნინა გიგაური ასწავლიდა. ორი გაკვეთილი ჰქონოდათ გადაბმული, შესვენება 5 წუთი. ქალბატონმა ნინამ მეხუთე კლასელებს პირველ გაკვეთილზე აკაკის გამზრდელი წაუკითხა. მეორეზე კი შოთამ სთხოვა: ნინა მასწავლებელო, თუ შეიძლება ზეპირად მოვყვებიო. ჰოდა მოყვა. ნინას სიხარულით უტირია - ეს ვინ გვეზრდებაო?!

უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად 1956 წლის 1 აგვისტოს თელავიდან თბილისში გაზ 53 ით ჩამოვიდა. სატვირთოს საბარგულზე მჯდარა.

8 აგვისტოს გამოცდაზე გავიდა. გამომცდელები: სოსო ბოცვაძე, ლევან მენაბდე, ივანე იმნაიშვილი გახლდნენ.

სტუმარ მასპინძელი შეხვდა.

მოვთხრო თუ ლექსად მოვყვეო - უკითხავს შოთას.

ლექსადო.

15 წუთში ჩამოათავა პოემა.

სხვა რა იცი? ო.

პოემა ბევრი ვიცი, მათ შორის ვეფხისტყაოსანიცო. (52 პოემა იცოდა შოთამ ზეპირად).

გვითხარი გლახის ნაამბობიდან ვეფხისტყაოსნის ის სტროფი, ილია რომ ათქმევინებს გლახასაო: „ძალი შემწევს ქადილისა ფრიდონისა არ იყოსო“ - რომელი სტროფიაო?

რომელი გამოცემიდან გითხრათო – ჰკითხა შოთამ:

ქართველიშვილისო.

1888 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანია.

608 სტროფია, 133 გვერდზე, ზემოდან მესამეო – უთხრა ლექსი:

მერე ათქმევინეს ავთანდილის ანდერძი; სამთა თათბირი; ქაჯეთის ციხის აღება - უხაროდათ გამომცდელებს.

სოსო ბოცვაძე არ ეშვებოდა, ლევან მენაბდემ შეაჩერა იგი: ახლა ამან რომ გითხრას – გააგრძელე – გააგრძელებო?

ივანე იმნაიშვილმა ჩააწერინა თავისი ტელეფონის ნომერი: რამე თუ გაგიჭირდეს, დამირეკეო.

ხოდაშნელს ნერვიულობისაგან შუბლი ოფლით დაცვარვოდა. ბოლოს ჰკითხეს: ცხვირსახოცი გაქვსო?

კიო, მოიწმინდა შუბლი შოთამ:

სამთავემ შუბლზე აკოცა, საგამოცდოში ფრიადი ჩაუწერეს და გამოუშვეს.

იმნაიშვილი რომ გარდაცვლილა, შეუდგა შოთა მის კუბოს და თავი არავის გამოაცვლევინა, მადლობა ასე გადაუხადა.

სტუდენტები ყამირზე ყაზახეთში ყოფილან.

სლავინსკის საბჭოთა მეურნეობაში 57 წლის 16 ივნისსს, (შოთას დაბადების დღეა, მაშინ 19 წლის ხდებოდა), დაბადების დღე გადაუხადეს: ზაურ ბოლქვაძემ; თენგიზ ჩხაიძემ; თენგიზ შველიძემ; ალაზა ხაიაურმა; ივერი ტაბიძემ; ანზორ გელაშვილმა. უნივერსიტეტიდან სხვებიც ყოფილან: გურამ მაისურაძე; მიხეილ შუბითიძე; გიორგი ცინცაძე (პროფესორი); ნოდარ ბუაძე. ივერი ტაბიძეს მოეტანა მის და ანზორ გელაშვილის მიერ დაარსებული გაზეთი „თბილისი“. წააკითხეს შოთას გაზეთში დაბეჭდილი 8 სტროფიანი ლექსი. წააკითხეს და გაზეთი დაწვეს. ნახევარი საათის მერე ათქმევინეს ზეპირად. 2 შეცდომა მოსვლია. სხვა გაზეთიცა ჰქონდათ და იქ გადაამოწმეს. მაშინ ზაურ ბოლქვაძეს უთქვამს: შენთან პირის გაღებისა მეშინიანო.

ერთხელ თუშეთში ავიდა შოთა. ძველი მეგობრები მოინახულა. წავიდნენ საპურმარილოდ. გზაში ერთმა ჰკითხა: შენ ათი წელი აქ ფოლკლორს აგროვებდი, აბა ეს ლექსი თუ იცი? ახალიაო. არ იცოდა, არც ჩაწერა და მოისმინა რა, თავიდან ბოლომდე ზეპირად მოუყვა. მძღოლი გაოგნებულა. მანქანა გაუჩერებია: მოიცა კაცო, სადმე კლდეზე არ გადავარდე! შენ ჩამწერი რად გინდა?! ო.

70 იანი წლები მდგარა. ოპერაში გიორგი ლეონიძის 80 წლისთავის საღამოზე გიორგი ციციშვილი გამოდიოდა. დაიწყო ლეონიძის ლექსი: „დაფეთებული ირმები“ და დაავიწყდა მომდევნო. შოთამ იარუსიდან ჩამოსძახა: მირბიან თავდაყირანი - ო.

მეორე დღეს მწერალთა კავშირში მდივანს შეუნიშნავს: ესაა ხალხის ნამდვილი სიყვარული! ო.

მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულ მიშა ქვლივიძეს პირველად მუშათა კლუბში შეხვდნენ. შოთა სულ ბოლოში მჯდარა. მიშას თავისი ლექსი ვეღარ გაუხსენებია და შოთამ მოაგონა:

„და თუმცა ხედავს, სიმშვიდეს კარგავს,
ქალს მაინც მზესთან ჰქონდა ცილობა.
და გლეჯდა მკერდზე მოჭერილ ლაგამს
ჯიუტი ტანის ატეხილობა.“

გივი ჭიჭინაძე ეუბნებოდა: საქართველოში წონით ყველაზე დიდი პოეტი ხარ! მარტო სახე გაქვს ერთი საკარმიდამო ნაკვეთის ხელაო.

მარი გველესიანმა ჰკითხა: რათა გაქვს ეგეთი დარდიანი თვალებიო?

ვაჟა აზარაშვილმა „შკუროვიჩი“ დაარქვა.

ერთხელ თურმე რეზო ჭეიშვილმა ქუთაისიდან დაურეკა: ის რომელი სტროფია: „კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოდინდების“ო.

რომელი წლის გამოცემა გიჭირავს ხელშიო? – უკითხავს შოთას.

საბჭოთა საქართველოს ახალი გამოცემაო.

231 გვერდია, 1094 სტროფიო – უპასუხა შოთამ.

ზეპირად იცოდა: ვახტანგ მეექვსის; ქართველიშვილის; რჩეულიშვილის; ახალაძის გამოცემები.

მეტყოდა ხოლმე: ნოდარ! ორი სტრიქონია ვეფხისტყაოსანი: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო!

ერთხელ შემომჩივლა: რას გადაეკიდნენ ასო „უ“ს. მე და ჩემი ცოლი ერთურთის გარეშე ვერ ვძლებთო. უერთმანეთოდ არა სჯობია? „სახლკარის გარეშე დარჩაო“ - გაიგონებ ჩვენი ჟურნალისტებისაგან. სიტყვა „უსახლკაროს“ რას ემართლებიან?! ერთხელ ერთმა თამადამ ასე დაახასიათა მეორე – ვისაც ადღეგრძელებდა: უავთვალო, უავსაქმო, უავსიტყვო, უავგულო, უავფიქრო, უავხელო - ო.

ეს თაობაა თუ უთაობა?! მას აკლია ფრიდონის ცეცხლი და ტარიელის გამბედაობაო.

ადამიანს ბალღობის მოგონება მფარველობსო.

ქართლის ჭირი დღესაც ქართლის ჭირიაო.

იყალთოელები უყვარდა. თითოეული იყალთოელი ნიჭით დაჯილდოებულიაო.

ბოლოს და ბოლოს არსენ იყალთოელი რუსთველს ასწავლიდა! ო.

ქართული თუ გინდა ისწავლო: რეზო ინანიშვილი, ლადო მრელაშვილი, ნინო ბაზარაშვილი უნდა გამოსცეო.

ლადო მრელაშვილის და გიორგი ბოგველიშვილის ენას ვისუნთქავ როცა ვკითხულობო. ასეთი ქართული მარტო კახელებმა იციანო.

დილაობით, ორშაბათობით ხან ოთხშაბათობით, შოთა ხოდაშნელი; ნინო ჯიქია (პედაგოგია); სოკრატე სალუქვაძე და ზაზა ბაწელაშვილი 36 წლის მანძილზე, პირველ არხზე ყოველ კვირას კითხულობდნენ ვეფხისტყაოსანს. ხალხს ყურს უხედნიდნენ.

მიდის ერთ დილით შოთა უნივერსიტეტში. ხედავს, ახალგაზრდა სტუდენტი შეეგება. ეკითხება: თქვენ დღეს ტელევიზორში გიხილეთ!

კი ბატონო!

ვეფხისტყაოსანს კითხულობდით?!

დიახ ბატონო!

კითხვა მაქვს თქვენთან!

გისმენთ!

დავით აღმაშენებელს თუ ჰქონდა წაკითხული ეს პოემა?

თქვენ სტუდენტი ბრძანდებით? – ახლა უკვე შოთა ეკითხება.

დიახ!

რომელი ფაკულტეტის?

ფილოლოგიურის!

კურსი?

მე 3 ე!

კი, მაგრამ, პაპაშენის მამას თუ ჰქონდა თვალით ნანახი შენ რომ პირველად აი ია გამოიყვანე?

საიდან, ის რამდენი ხნის მკვდარი იყო მაშინ?!

ესეც ეგრეა ყმაწვილო! – მიუგო შოთამ.

მახსენდება ახლა, როცა ანზორ აბულაშვილი გარდაიცვალა, იმ ზამთარს შოთამ მის ქვრივს ქალბატონ მზიას თავისი პენსია გაუგზავნა – გათბობისა გადაიხადეო.

ცხოვრების ბოლო 8 წელიწადი ბრმა იყო, მაგრამ ხასიათი არ გამოუცვლია.

იგი მეტად დახვეწილი და ფაქიზი სულიერი სამყაროს ადამიანი გახლდათ. ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე.

თუ ეწვეოდი, წითელი ძველშავით, გაგიმასპინძლდებოდა, სწორედ იმ ღვინით, გიორგი მე XII რომ მიირთმევდა.

ასეთ დროს პლატონ იოსელიანს იმოწმებდა: თქმულებას საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი მე XII ისა: „ღვინო უყვარდა და აქუნდა ულეველი, ხოდაშნური და ყვარლური. რომელთაც დიდად განწმენდილ ქვევრებში ინახავდა. მე რომ ღვინის ქება დაგიწერე, დღეს ეგეთი ღვინო აღარსად არ იშუება. ის ღვინო იყო ზემო ხოდაშნისა ზვრისა. ვენახი უნდა იყოს აბეჩხარი, ანუ დაუბარავი და პატივდაუყრელი, ამითვინა, რომა რაც გამოვა, ნამდვილი მიწის წვენი იქნება“ო.

შეზვინეს მისი ბორცვი. ამ რამდენიმე დღის წინ კი დამესიზმრა: მოსაღამოვებულზე იყალთოს მონასტრის თავდაღმართში ორნი ეშვებოდნენ: კარლო არსენაშვილი და შოთა ხოდაშნელი. შოთა ხმამაღლა ლაპარაკობდა: მარია ანტუანეტას თავს როცა ჭრიდნენ, თმები აიხვია და ბუჩქად შეიკრა, გელიოტინამ არ დამამახინჯოს. ასე უნდა გიყვარდეს სილამაზეო. კარლო მისკენ გადაიხარა და გააფრთხილა: ჩუ შოთა, ჩუ, ღობესაც კი ყურები აქვსო...

ნოდარ შანიძე

„ცეკვავს მიხეილ სავიცკი”

ეს, მიხეილ სავიცკი ცეკვავს ”ქართულს” თავის პარტნიორთან ერთად, სუხიშვილების ანსამბლის პირველი თაობის წარმომადგენელი, რომელმაც თვით ილიკო სუხიშვილი ჩაანაცვლა და ნინო რამიშვილთან ერთად ასრულებდა ამ დიდებულ ცეკვას. ანსამბლში მიხეილი16 ცეკვაში მონაწილეობდა, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული სწორედ ”ქართული” იყო.

მიხეილ სავიცკი საზღვარგარეთ დედის გვარით - ბაქრაძით გამოდიოდა, მაგრამ პოლონეთში, მისი წინაპრების სამშობლოში გასტროლებისას, ილიკო სუხიშვილმა, რომელიც შესანიშნავი მენეჯერი იყო და ყოველთვის იცოდა სად და რა ეკეთებინა, კონფერანსიეს- თენ-

გიზ რუხაძეს (მაშინ ასე ტარდებოდა კონცერტები) იგი თავისი პოლონური გვარით გამოაცხადებინა. როგორც თვითმხილველები ამბობენ დარბაზი ტაშით დაინგრა. გაუთავებელი ოვაციები იყო ცეკვის დამთავრების შემდეგაც. კონცერტის შემდეგ ბევრმა პოლონელმა მოინდომა შეხვედრა თავის თანამემამულესთან, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მიხეილი სათადარიგო კარებით გაიპარა და რომ არ ენახათ სასტუმროს ნომერიც კი შეიცვალა.მას შერცხვა , რომ მან ერთი სიტყვა პოლონური არ იცოდა , თავს კი ყოველთვის ქართველად თვლიდა.

მიხეილ სავიცკის სუხიშვილების ანსამბლთან ერთად მრავალი ქვეყანა აქვს მოვლილი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე იგი სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა. მაგრამ მისი საუკეთესო და დასამახსოვრებელი წლები მაინც სუხიშვილების ანსამბლს უკავშირდება. ბატონი მიხეილი ანსამბლის პირველი თაობის თითქმის ბოლო მოჰიკანია (სულ ორნი დარჩნენ : ის და ჯანუ გარუჩავა). რამდენიმე თვეში, 16 ივნისს იგი დაბადების 90 წლისთავს იზეიმებს. ვუსურვოთ მას მხნეობა და ხანგრძლივი სიცოცხლე !

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ეთერ ფაცურია – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეთერ ვლადიმერის ასული ფაცურია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ეთერ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წელს.

ეს 75 წელი სათნოების, სიყვარულის, ერთგულების, კაცთმოყვარეობის სამსახურში გატარებული 75 წელი იყო და სწორედ ამიტომაც სარგებლობთ დამსახურებული პატივისცემითა და აღიარებით.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1966 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სამგორში“ დაიბეჭდა თქვენი ლექსები.

მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედი ბრძანდებით, ერთნაირი ძალმოსილებით ერკინებით მწერლობის ისეთ ურთულეს ჟანრებს, როგორიცაა პროზა და პოეზია.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პროზაულ თუ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „თარაში“ (რომანი 5 ტომად), „მთვარიანი საღამო“, „შავი ზღვა“, „წარჩე“... ამ კრებულებში ხომ თქვენმა სულმა და გულმა დაივანა, რომელიც სამშობლო ქვეყნის უკეთესი მერმისის დაუოკებელი სურვილითა და რწმენითაა დამუხტული.

თქვენი ნაწარმოებების მთავარი გმირი მაძიებელი სულის მქონე პილიგრიმია, რომელიც ცდილობს გაერკვეს იმ კანონზომიერებებში, რომელიც ჩვენს ცოდვით დაცემულ პლანეტას ჯერ კიდევ აძლებინებს კოსმიურ უსასრულობაში, ცდილობს გაერკვეს ადამიანის არსსა და დანიშნულებაში, თუნდაც იმაში, თუ რა ადგილი განუსაზღვრა მას დედაბუნებაში არსთაგამრიგემ. თქვენი მშვენიერი ლექსები, იაპონურ ტანკას რომ გვაგონებს, სავსეა ცისფერი სევდით, სიყვარულით და ლირიზმით, ბუნებასთან შერწყმის, მის ნაწილად გადაქცევის წყურვილით. თქვენი პროზაული ნაწარმოებები კი პოეტური პროზის ნიმუშებს წარმოადგენს, პოეზიის მადლითა და მირონითაა გაჯერებული.

არაერთი მხატვრული ნარკვევისა თუ პუბლიცისტური სტატიის ავტორი ხართ, რომლებშიც ქვეყნისათვის საჭირბოროტო პრობლემატიკაა წამოჭრილი.

წლების განმავლობაში ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში კორესპონდენტად, ლიტმუშაკად; იყავით გამომცემლობა „სამშობლოს“ რედაქტორი, დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ბრძანდებით სალიტერატურო გაზეთ „საქართველოს ლირიკისა“, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციაში.

თქვენი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ქართული ჟურნალისტიკის ამაგდარისა და ღვაწლმოსილის წოდებანი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისთვის დაგაჯილდოვათ საპატიო სიგელით.

ქალბატონო ეთერ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლალი ჯაფარაშვილი – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ლალი სოლომონის ასული ჯაფარაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ლალი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1964 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ბზა“. სიმბოლური აღმოჩნდა იმ ლექსის სათაური თქვენი პიროვნებისათვის. მზასავით მტკიცე და გაუტეხელი ბრძანდებით და ეს თქვენს შემოქმედებაშიც აისახა.

მშვენიერი საბავშვო პოეტი ხართ და ამიტომაც შეიყვარეს პატარებმა თქვენი საოცრად მიმზიდველი საყმაწვილო კრებულები „ქარი და ციყვები“, „ყველა ფურცელი საჩუქარია“, „ყველაფერი თავდაყირა“, „შენთვის ვიზრდები, მამულო“, ცხოველები და მათი შვილები“... ამ კრებულებში შესული ლექსებით სწავლობს ნორჩი თაობა მამულის სიყვარულს, მისთვის თავდადების გრძნობას, იზრდება მართალ, პატიოსან ადამიანებად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ლირიკული ლექსები, რომლებმაც დაივანა ისეთ კრებულებში, როგორიცაა „მზეკარა“, „აპრილის ცრემლი“, „იმედი“... ამ კრებულების ლირიკულ გმირს გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ თელავენ, ამშევენ, ამათხოვრებენ ქართველთა ამაყ და ღირსებით სავსე მოდგმას; რა საშინლად აქვს მორღვეული ოთხივ კუთხივ ეზოკარი მის საესავ სამშობლოს, როგორ დამსგავსებია უპატრონო საბძელს, საიდანაც ვისაც რა უნდა, ის გააქვს და გამოაქვს. ღუზაჩაშვებული გემების დარდი დაგროვებია გულისგულში. კარგად იცის, რომ თუ გულშემატკივარი ხარ, ერთხელ მაინც უნდა შეაფხიზლო ერი და ბერი, ერთხელ მაინც უნდა უთხრა სიმართლე თანამოძმეებს. თან იმასაც ცდილობს ტკივილსა და ტკივილებს შორის გამოანათოს ღიმილად, სითბოდ, თანაგრძნობად... სულის სიმშვიდედ. რაც თავი ახსოვს, არსთაგამრიგეს უახლოვდება, უახლოვდება ტაძრის შუქითა და ნაშალი ლოდებით...

მშვენიერი მთარგმნელი ხართ და არაერთი ლექსი თარგმნეთ რუსული და ინგლისური პოეზიიდან.

სხვადასხვა დროს მუშაობდით აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების რადიოს რედაქტორად, საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის კორესპონდენტად, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგად, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივი მუშაობის კაბინეტის რეჟისორად, ექსკურსიამძღოლად, შემოქმედებითი სტუდიის პედაგოგად.

მონიჭებული გაქვთ შიო მღვიმელისა და მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიები, აგრეთვე ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის წმინდა ნინოს მედალიონი.

ქალბატონ ლალი!

სავსე ხართ ქართული მშვენიერებით, კდემით, შინაგანი სიწმინდით და ჭეშმარიტი ეროვნული ტრადიციების ერთგულებით. ამიტომაც უყვარხართ თქვენს კოლეგებს.

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ შემოქმედსა და ბანოვანს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქეთევან დოლიძე – 50

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ქეთევან სერგოს ასული დოლიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქეთევან!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან მშვენიერ მწერალს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი მწერლური ნათლობა 1989 წელს შედგა, როდესაც ლიტერატურულ ალმანახ „ნობათში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, მინიატურული პროზის ნიმუშები, საბავშვო ზღაპრები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

დახვეწილი, ნატიფი, ლირიზმით და სევდით, დიდი ადამიანური სედით სავსე თქვენი პოეზია შეიყვარა გემოვნებიანმა ქართველმა მკითხველმა. ამ პოეზიის საუკეთესო ნიმუშებმა დაივანა ისეთ გამორჩეულ პოეტურ კრებულებში, როგორიცაა „მაინც გათენებას ველოდები“, „შავი ქრიზანთემები“, „დალი“, „ქალი – კენტავრი“, „კონკიას ქოში“, „ზეცის სარკეში“...

ამ ლექსებში მკაფიოდ გამოიკვეთა თქვენი პოეტური პროფილი, პროფილი შემოქმედისა, რომლისთვისაც ლექსები ნაჩუქურთმევ უჭკნობ სოსანებს წარმოადგენს, შემოქმედისა, რომელიც, სიზიფესი არ იყოს, დარდის ვეება ლოდებს ეზიდება მწვერვალისაკენ და იქ შატილის მთებში დაეძებს დაკარგულ აჩრდილს. მის გარშემო ამინდიც ნაცრისფრად ციატობს და მოსვენებას არ აძლევს, მუდმივად ლუციფერისა და სატანისეულ ლეგიონებთან უწევს უთანასწორო ომი. ბევრი არც არაფერი უნდა, ცხელ-ცხელი პური მიჰქონდეს შინ შვილების, ბეღურების, შაშვებისა თუ ჩხიკვების დასაპურებლად. თავისთვის არც ის უნდა, ნაწვიმარი ფრთებითაც დაკმაყოფილდება, რათა ერთხელ მაინც შეიფრთხიალოს და ღრუბლებიდან გადმოხედოს მშობელი ქვეყნის სანახებს. ამის შემდეგ გარდაცვალებასაც დაბადება დაერქმევა სახელად, ამის შემდეგ კვართის პატრონიც გამოჩნდება და მიხედავს ივერთა მიწას...

ავტორი ბრძანდებით მშვენიერი საბავშვო ზღაპრებისა.

სხვადასხვა დროს მუშაობდით ახალგაზრდა ლიტერატორთა ცენტრის საბავშვო გაზეთ „ზღაპრის“ შემოქმედებითი განყოფილების გამგედ, საბავშვო გაზეთ „ბუნების“ რედაქტორად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო გაზეთის „2X2“ კორესპონდენტად. დიდხანს იყავით ზღაპრის სახლის პრეზიდენტი და ყველაფერს აკეთებდით საიმისოდ, რათა პატარების სულიერი ფორმირება სწორი გზით წარმართულიყო.

პოეტური კრებულისათვის „მაინც გათენებას ველოდები“ თსუ სამეცნიერო საბჭომ გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია მოგანიჭათ. მონიჭებული გაქვთ აგრეთვე „შოთაობის“ (მესხეთი) პირველი პრემია.

ძვირფასო ქეთევან!

თქვენს მეგობრებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა ქარტეხილები დაატეხა ბედისწერამ თქვენს სუსტსა და უნაზეს მხრებს, ისიც კარგად ვიცით, რომ არ გატყდით, არ მოდუნდით და არ შეეკარით ეშმაკეულთ.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ჯარჯი ფხოველი – 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველ პოეტი ჯარჯი ფხოველი (დავით გიორგის ძე ციგროშვილი). ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო ჯარჯი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელიც დღესდღეობით, ფაქტიურად, განსაზღვრავს XXI საუკუნის ქართული მწერლობის დონეს და ტონს აძლევს მის განვითარებას.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1963 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ 55 წელი გასულა, მშობელი ქვეყნის, მშობლიური მწერლობის უებრო და მუხლჩაუხრელი სამსახურის 55 წელი.

ყოველივე ამის დასტურია თქვენი მრავალწახნაგოვანი შემოქმედება – ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ესეები, რომანი, მხატვრული თარგმანები, სისტემატურად რომ ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები („ლექსები“, „დუმილის ტყე“, „მკურნალი მიწა“, „კვირადღე“, „ჩაძირული არქიპელაგი...“, „გული ყველაფერს ხედავს“, „ლოცვა გულის გადასარჩენად“, „მარტოობის მზე“, „ლირიკა“...) მათი ავტორის შემოქმედებითი ძალმოსილების მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს. ამ კრებულებში შესული ლექსები მშობელი ქვეყნის მეციხოვნის სულიერი ღაღადისია, განაწამები, მირიადჯერ დაჩეხილი მეციხოვნისა, რომლის დაჩოქება, დამონება, წელში გადატეხვა დღემდე ვერავინ შეძლო. თქვენს ლექსებს ხომ ქართული სული, ძლიერი ვნება და ტემპერამენტი, სისადავე და მკაცრი პოეტური მეტყველება გამოარჩევს.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია გერმანულ, პოლონურ, რუსულ, სომხურ, უკრაინულ ენებზე...

თქვენს რომანს „რამეთუ მიწა ხარ“, მოთხრობებსა და ნოველებს ჭეშმარიტი მწერლის ხელი ეტყობა, რომელიც ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ადამიანური ყოფის საიდუმლოებასა თუ არსს... თქვენი ესეისტური ჩანაწერები, რომლებიც ცალკე კრებულად („ფურცლები“) გამოიცა, გვხიბლავს ღრმა განსწავლულობით, მოვლენების არსში წვდომით მწერლისა, მღელვარე ზღვაში დაშვებულ, სიცოცხლის არადჩამგდებ პილიგრიმს რომ წაგავს, სიტყვათა ქაოსში, ენის ღვარცოფში და მეხთატეხაში ჩავარდნილ პილიგრიმს...

არაერთი ჩინებული თარგმანით გაამდიდრეთ მშობლიური ლიტერატურა. ქართულად თარგმნეთ ძველი ჩინური პოეზიის ნიმუშები, კორეელი ჩონ ჩხოლის ლირიკა, მარინა ცვეტაევას, ალექსანდრ ბლოკის, ოვანეს შირაზის ლექსები.

წლების განმავლობაში მუშაობდით გამომცემლობების „მერანისა“ და „საქართველოს“ რედაქტორად, ჟურნალ „საუნჯის“ პოეზიის განყოფილების გამგედ და ყველგან პირდაპირობით, ობიექტურობით, სიმართლით და სამართლიანობით გამოირჩეოდით.

თქვენი მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა დიდი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით აღინიშნა.

ჩვენო ჯარჯი!

თქვენ ახლა თქვენი მშობლიური ფშავის სანახებს დაუბრუნდით და იქ ბინადრობთ, ცხოვრობთ ჩუმად და უპრეტენზიოდ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა მშვენიერი, რა ბრწყინვალე შემოქმედი ხართ...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო თანამოკალმეს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ. თქვენ ხომ კიდევ ბევრი რამ გაქვთ სათქმელი თქვენი სათაყვანო ქართველობისთვის.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნანული (ნანა) გუნია

უფალს

თაყვანს ვცემ მთელი გულით და
ულევი სიყვარულითა,
სიცოცხლის ხალისს შენ მაძლევ
და მავსებ სიხარულითა.

რა კეთილი ხარ, რა ტკბილი,
თავს გიხრი დიდი კრძალვითა,
ეს დღემდე შენით მოვედით
შენი მადლით და ძალითა.

სამშობლოს ჩვენსას დღეს უჭირს,
ფეხზე ვეღარ დგას მყარადა,
დაცარიელდა სოფელი,
როგორც მთას, ისე ბარადა.

შიშმა შეიპყრო ნაწილი
ხალხის, დიდი და პატარა,
ძალა, უნარი არ შესწევთ,
რომ გაუმკლავდნენ სატანას.

უფალო, ქვეყნის შემქმნელო,
მოგვფინ მადლი, წყალობა,
რომ ძველებურად ისმოდეს
მამულში ქართველთ გალობა.

ისმოდეს ქართველთ გალობა,
არა ხარხარი უცხოთა,
ნუღარ მომასწრებ მამულში,
თავი რომ ვიგრძნო უცხოდა.

მამულიშვილნი გვიმრავლე,
გთხოვ, მიქართველე ქართველი,
უკურთხე საღი ხედვა და
აზრი, გონება ნათელი.

რომ გაარჩიონ მოყვრისგან
მტერი ბოროტი, ცბიერი
და ერთმანეთის გატანის
სიყვარულით გვყავ ძლიერი.

უფალო, შეგთხოვ, ისმინე
ღაღადი ცოდვილ მხევლისა,
გადამირჩინე სამშობლო
წყეულ ეშმასგან შერისხვას.

***

ქველმოქმედია, ამბობენ ჩემზე,
როგორც ამბობენ არ არის ისე,
საშუალებას და სურვილს შენი
მადლით მმოსავ და შენ მაძლევ,
ქრისტე.

თუ რამ სიქველეს ვაკეთებ დღემდე
შენი წყალობა, შენი მადლია,
ეს შენგან მოდის ყველა სიკეთე,
მიკვირს მე ცოდვილს რატომ
მმადლიან.

მადლობა უფალს შენ უნდა გითხრან,
ყოვლადმოწყალეს და ყოვლისშემძლეს,
თუ არა შენი წყალობა, ღმერთო,
ცოდვილი ისე ვერაფერს შევძლებ.

მადლობას გწირავ ყველაფრისათვის,
ჩემი დედაც ხომ მუდამ გმადლობდა,
დიდება შენდა! დიდება შენდა!
ყველაფრისათვის, ღმერთო, მადლობა!

ვეძებ ყველგან, დავეძებ შენს აჩრდილს

ყველაფერი შეიცვალა ჩემში...
ღვთის წყალობით გული სუფთად
დარჩა,
დამიგროვდა დარდი, სევდა გულში
და ჭრილობაც უამრავი გაჩნდა.

ვერსად ვპოვე შენებრ თბილი უბე,
ვეძებ ყველგან შენებრ თბილ, ტკბილ
უბეს,
ამ ჩემს წუხილს, მონატრებას შენსას
ჩვენი დიდი სიყვარული უდევს.

დღესაც კვლავაც ისევ ვიტყვი იმას,
რაც მრავალჯერ ადრეც შენთვის
მითქვამს,
დიდი ძალა ჰქონდა, დედა, ჩემთვის
შენს შეძახილს და შენს ყოველ
სიტყვას.

თუმც შვილები გვერდითა მყავს, მაინც
სულიერად მარტოდმარტო დავრჩი,
სულს სჭირდება შეძახილი შენი,
ვეძებ ყველგან, დავეძებ შენს
აჩრდილს.

ვერ გავექეც ნაღველს, დარდს და
სევდას,
ვერსად ვეღარ დავემალე ფიქრებს,
რომ დაწყნარდეს ჩემი სული, დედა,
ჩემი ყოფნა შენთან სჯობდეს იქნებ.

საქართველოს

საქართველოვ, საყვარელო,
მზის სხივების სადარო,
შენი სითბო, სიყვარული
მსურს, რომ გულით ვატარო.

ანთებულო კელაპტარო,
სიყვარულის საუნჯევ,
შენი სილამაზით ყველას
ახარებ და ამუნჯებ.

სამოთხეა, ედემია
შენი ყველა კუნჭული,
სიზმარშიაც მელანდება
შენი ხმა და ჩურჩული.

ზოგჯერ საქმით გეფერები,
ზოგჯერ კიდევ ლექსებით,
დედასავით გულში გიკრავ,
გკოცნი, გეალერსები.

მიყვარს შენი ნანინა და
შენი მთა და ველები,
თუ დაგჭირდი, საყვარელო,
თავზე შემოგევლები.

ანთებულო კელაპტარო,
ჩემი სულის ლამპარო,
მოციმციმე ვარსკვლავო და
უკვდავების ზღაპარო.

აბაშას

ჩემო აბაშავ, ძვირფასო,
აქ არის ჩემი ფესვები,
ღვიძლ დედასავით გიხუტებ
გულში და გეალერსები.

აქ ვიშვი, აქვე ვიზარდე,
ღმერთს ვმადლობ. ეს რომ ინება,
აქ მოხდა ჩემი გონების
და სულის ამობრწყინება.

თითქმის სულ შემოვიარე
სამშობლოს ყველა კუნჭული,
მესმოდა თითოეულის
გულისცემა და ჩურჩული.

მე მათ სითბოს და სიყვარულს
გულში სათუთად ვინახავ,
რადგან აქ ვიშვი, ჩემს სულში,
შენ სუყველაზე წინა ხარ.

როგორც არასდროს მჭირდება
დღეს შენი შემოძახილი,
რადგან ეს გული დაჭრილი
მაქვს დედის გამო, მახვილით.

გთხოვ, გულის კარი გამიღე,
დედისებრ მყავი ნუგეში,
მტკივანი სული გამითბე,
ჩამიკარ შენს თბილ უბეში.

გამითბე სული და გული,
დარდისგან ანაკვნესები,
ჩემი დედაც შენ მოგანდე,
ორმაგად გეალერსები.

სულ მალე დაგიბრუნდები,
ოღონდაც ცოტა მაცალე,
სულს შენსკენ მოუჩქარია,
აქ არის ჩემი საძვალე.

მანამ კი წყურვილს მოვიკლავ
ცრემლნაბკურევი ლექსებით,
შენსკენ რომ მომიჩქარია
ეს ძახილია ფესვების.

ღვიძლ დედასავით გიხუტებ
გულში და გეალერსები.

ვიმოქმედოთ გონით

ეს რა ხდება, რად ვართ ასე,
ერთმანეთზე მწყრალი,
ნაცვლად ვიყოთ ერთმანეთის
სიყვარულით მთვრალი.

ერთმანეთის ძაგებაში
მიდის დღე და ღამე,
რომ იცოდეთ სულიერად
როგორ დავიღალე.

დავიჯერო, ერთმანეთი
ქართველებს არ გვიყვარს?
და ვაყენებთ ძმაზე მაღლა
მრავალ უცხო ჭილყვავს.

სიყვარული, სიკეთის ქმნა,
გადაგვარჩენს მხოლოდ,
ისე ნუღარ მოვიქცევით,
რომ ვინანოთ ბოლოს.

დიდი კრძალვით, სიყვარულით,
მოგიწოდებთ ყველას,
თუ დავდგებით ერთად, შევძლებთ
საქართველოს შველას.

არა მტრობით, არა ძალით,
ვიმოქმედოთ გონით,
ვერვინ ვერაფერს მივაღწევთ
სიძულვილის ქონით.

ან კი რა გვაქვს გასაყოფი,
სამშობლო გვაქვს ერთი,
უფლის გასახარად დავდგეთ
ერთმანეთის გვერდით.

სწორედ მაშინ დამარცხდება
ის მზაკვარი მტერი,
ღვთის წყალობით გაბრწყინდება
სამშობლო და ერი.

შეგონებანი

***

ნუ მიაქცევ ყურადღებას
თუ ვინ რისი ღირსია,
ღვთის გულისთვის, სიკეთის ქმნა
გაიხადე მისიად.

***

ნურავის და ნუღარაფერს
ნუ გაიხდი კერპად,
ეცადე, რომ მთელი სულით,
გულით იყო ღმერთთან.

***

დაიმახსოვრე, არავის
არ შეაქციო გვერდი,
თუ გინდა ყველგან, ყოველთვის,
მუდამ გწყალობდეს ღმერთი.

***

არასოდეს გაებუტო
არც მოყვასს, არც სხვას,
ეცადე, რომ აღარ აცდე
ქრისტე ღმერთის გზას.

***

ყველას თავისი სახელი ჰქვია,
ავს - ავი, კარგს კი - კარგი,
თუ ეკალს აღარ მოჭრი, ისე ხომ
ხელს აგატკიებს ვარდი.

***

ამქვეყნიური ცხოვრება
ამაოა და ფუჭი,
თუ მას არ ახლავს ღვთის რწმენა
და თუ გიმონებს კუჭი.

***

ნუ ვეხებით სხვისი გულის სიწ-
მინდეს,
თუ გვინდა, რომ კარგ მომავალს
ვიწვნიდეთ,
დავუფიქრდეთ ყოველ სიტყვას,
ქმედებას,
რას ვუსურვებთ სხვას, ის
დაგვებედება.

თემურ ჯულაყიძე

გასაგონად!

უნდა დასრულდეს ეს ჯოჯოხეთიც,
ჩვენ გავიარეთ ჟამი მზაკვრული,
ხელისუფლებავ, მუდამ გახსოვდეს,
შენ ხარ უფლის და ერის მსახური.

უნდა გახსოვდეს ხალხისგან მოდით,
არასდროს სცადოთ ერი გათელოთ,
ჩვენთვის ძვირფასი და საფიცარი
მუდამ იქნება ეს საქართველო.

მხოლოდ ის არის ღირსი!

ღმერთმა მოგვმადლა ყველა სიკეთე:
ზღვა, მთა, ტყე, წყარო, მინდორ-ველები,
წალკოტის ნარჩენს დაუფლებიან
ჩინელები და ინდოელები!

ვერ ვუპატრონეთ ჩვენს ღვთიურ ედემს,
იუდას ვერცხლზე მაინც გაჰყიდეს,
უგნურებაა თვით უკვდავებას
მოკვდავები რომ მიწას აყრიდეს!

თუ ქართველები კიდევ შემოვრჩით,
ერთურთს დავეძებთ ხელის ფათურით,
მამულს იცავდნენ ლომგულებივით,
დღეს სამსახური გვიწევს დათვური!

დედაო ღვთისავ, მას უპატრონე,
მხოლოდ ის არის ღირსი წყალობის,
ვარდ-ბულბულ-ვარსკვლავს კვლავ შეაფარე
უფლის წინაშე ლოცვით, გალობით!

მწამს გადარჩება, ფეხზე დადგება,
როგორც ოდესღაც დიადი, ქველი,
უფლის გზისაკენ შემობრუნდება,
ჩემი ნატანჯი, ობოლი ერი!

მაია ხოფერია

***

შემოდგომის ნაწვიმარი დღეა,
ყვითელ ფოთლებს დაუფარავს გზები,
რაღაც ცივი, უსიცოცხლო მზეა,
გაყინული შენზე ფიქრით ვთბები...
მომენატრა სანაპირო ზოლი,
ფეხშიშველი ვაგროვებდი კენჭებს,
მსურდა ფიქრი გამომეცნო შორი,
მზერა ჩემი აკვდებოდა ბეჭედს...
საჩუქარი გაქცეული ქალის
და არშემდგარ, ჩაშლილ პაემანზე,
მცივა, მხრებზე მოვიხურე შალი,
ღალატისთვის მაინც დამენანე...
მომენატრა თეთრი თოლიები,
ფორიაქი, მოპარული კოცნა,
ვნანობ, ასე როგორ, რატომ გენდე,
განშორებას გული გრძნობდა როცა...
ყველაფერი წარსულს შევატოვე,
ცრემლიანი თვალებიც და ფიქრიც,
სიყვარული ხელში შემატოვე ისე,
როგორც მომაკვდავი ჩიტი...
შიშველი და გაძარცვული დავრჩი,
ვიცი, შენთან არ მექნება ხვალე,
ყველა ლექსი დავკუწე და დავწვი
და ტკივილად ჩემში გადაგმალე...

მაია კახიძე

და შოპენი გვიანი

ყელზე შემოგეხვევი,
შაბათიდან კვირამდე,
სუროდ შემოგევლები,
საღამოდან დილამდე.
ცას მოგიწყვეტ ადრიან,
ვნებას გადაცდომილი,
ვარდები სად არიან?!
ვხეტიალობ ცოდვილი.
თალი, თალა თვალები,
სული, სულაც მისანი,
ქალ-შავშავა ხალები,
ცია, ციაგ, ცისანი...
განაბულა მთვარე და
ტუჩებს აღმა მივყვები,
აკივლებულ სხეულზე,
ამიფეთქდნენ ფიქრები.
ეგ მზიანი საკინძე,
მკერდებნარინჯიანი,
სონეტები მასპინძლის
და შოპენი გვიანი...
ყელზე შემოგახვევდი
ნება-ნება ხავერდებს,
უკრავს ფორტეპიანო,
ვნება თავს არ მანებებს.

ჯემალ იბერიელი

განთიადი

სიო ატოკებს ალისფერ ტიტებს,
ნაზად ცეკვავენ ცეცხლოვან ტანგოს,
ასე ბადებენ იდუმალ მითებს,
აქ ყველა ბაღი ღვთიურ ცეცხლს ანთობს.

იფურცლებიან თეთრი ვარდები,
ფანტელს მიაფრენს სივრცე სანავე,
ცრემლად დნებიან ნისლის ფარდები
და ხიბლად აწვიმს მგზნებარე თვალებს.

მიაქვს ღიმილი თეთრ მაგნოლიას,
ზღვისფერი ზეცა აცილებს მთვარეს,
მტკვარზე დაცურავს თეთრი თოლია
და ფრთებით სერავს მღვიმე სავანეს.

ასე იღვიძებს ჩემი თბილისი,
ნარიყალადან დედა მდუმარე,
ღამის ზეწარს ხსნის გაშლილს თილისმის
გორგასალის და ივერთა მხარეს.

მეტეხთან ახლოს ძველი მეარღნე
ფიქრებში ეძებს ბორანს სატივეს,
აისის ჩვეულ სიმშვიდეს არღვევს,
ძველ მოგონებებს მტკვარზე ატირებს.

და რუსთაველზე აჩრდილი მთვარის,
პირიმზისა და ფერით მაისის,
მიფრინავს ქალი, ვით ნიავქარი,
თითქოს შობილი ფიფქის და ნისლის.

მიაქვს ღიმილი თეთრ მაგნოლიას,
ზღვისფერი ზეცა აცილებს მთვარეს,
მტკვარზე დაცურავს თეთრი თოლია
და ფრთებით სერავს მღვიმე სავანეს.

ლია მუმლაძე

ჩვენ ვართ ქართველნი

ჩვენ ვართ ქართველნი
ძლიერი წარსულით,
გმირი წინაპრებით,
თუმც გვქონდა ბაზალეთი,
მაგრამ გვქონდა
დ ი დ გ ო რ ი,
შ ა მ ქ ო რ ი,
ბ ა ს ი ა ნ ი...
გვყავდა დედა ქართლით,
შვილს რომ ისტუმრებდა
ომში სიამაყით!
გვყავდა დავითი,
იყო ქვეყანა უხვი,
ძლიერი,
გადაჭიმული ნიკოფსიიდან
დ ა რ უ ბ ა ნ დ ა მ დ ი!
თავის მამულში
შრომობდა გლეხი
არ ჰქონდა დარდი...
გვყავდა თამარი,
მეფე-ქალი, დედა ქვეყნისა,
საუკეთესო წინაპარი
ჩ ვ ე ნ ი ე რ ი ს ა!

ბელა ალანია

აღსარება

იწვის სანთელი,
აღსარების დამდგარა ჟამი...
გულწრფელი ლოცვა,
ხატების წინ, ცრემლად დამაბნევს,
გულის ალაყაფს
ფართოდ ვაღებ და მოთმინებით,
ჩემი ულაყი
მშვიდად ტოვებს სულის სავანეს.
ყალყზე შემდგარი,
ფრთაშესხმული მარდი მერანი,
მოინავარდებს,
გადასერავს ჟამთა ტრამალებს.
ჭენებ-ჭენებით
გადალახავს ყველა კარიბჭეს,
ცისკენ წაიღებს
უფლისათვის კუთვნილ გზავნილებს.
მოიგერიებს
უტყვი ღამის კვნესას თუ ნაღველს,
ჩამოიტოვებს
გზაარეულ, გაფანტულ ფიქრებს,
ცრემლშეუშრობელ
თეთრ ქაღალდზე დატეულ ტკივილს,
სიხარულით თუ
სიყვარულით დაკემსილ გრძნობებს,
აწ მერამდენედ
ჩურჩულით თუ ვედრებით თქმულებს,
ჩემი ცხოვრების
ამოუხსნელ ანი და ჰოეს:
უფალო ჩემო,
გთხოვ, შემინდე ცოდვანი ჩემნი,
შენ იმედი ხარ, — წყაროდ აქცევ
ამღვრეულ მორევს!
სიყვარული ხარ,
სიცოცხლეს რომ სჭირდება ასე,
უფალო, ჩემო,
მე კვლავ შენთან შეხვედრებს ველი.
ნუღარ გამწირავ,
შემიფარე სულის უბეში,
ასე დამფრთხალი,
ძლივს მბჟუტავი, სანთელი შენი!

გერმანე საზანოელი

ეს სულ ასეა

აქ უნიჭოთა ფაეტონი სადავეს იკრეფს
და სარეველად შესევიან სამოთხის ბაღჩას
თან მდუმარება დასდებია ჩემს გულის ფიქრებს
აქ რამე ძვირად ღირებული აღარა დარჩა
დაწვრილმანდა, განადგურდა საჭირო ნიჭიც
მას უცნაური, ეს ცხოვრება ხელკეტით სცემდა
სადღაც გაქრა ის უბრალო, მართალი ბიჭიც,
რომელიც უბრად, უანგაროდ, სხვის ნამუსს წმენდდა.
კეთილი დღეც კი ბოროტ ღამედ ქცეულა თითქოს
და სიმართლეც სიცრუისთვის, ხალიჩებს ართავს
როცა ამ ქვეყნად გზა ნათელი თავისას ითხოვს,
 საპასუხოდ, სიბნელეთი ნადიმებს მართავს.
დასაბამიდან თავხედური, და ურჩი დროც კი,
დაბრმავებული მდიდრებისთვის, ძმად ისევ ფეთქავს
ვხედავ ამ ქვეყნად, უსამართლო, ადიდებს როსკიპს,
უბრალოს ვდარდობ, დიდი რიდით ნაგავს რომ ქექავს.

მიყვარხარ

ზაფხულის ცის მსგავსად ლაღი გაქვს თვალები,
ღიმილიც სათნო გაქვს, ზღვასავით ციმციმა.
გთხოვ, მალე გამიღე საგულის კარები,
შენს გახსენებაზე, ცრემლებიც კი მცვივა.
შენმა სიყვარულმა მე ძლიერ დამღალა,
რადგან ხარ სულისა, რწმენაც და საზღვარიც,
ამბავიც გადმოგცა ცის მთვარემ, ნამგალამ,
დაჭრილი გული მაქვს, არ მშველის სხვა ზღვარი.
გაზაფხულდა და აფეთქდა კვირტები,
მე დიდხანს ველოდი ყინულის გალღობას,
თითქოს სამყაროში თავიდან ვმკვიდრდები,
ზეცაც კი მილოცავს ღიმილს და ლაღობას.
ჩვენს ფოთოლცვენამდე ჯერ კიდევ შორია,
კარგა ხანს დაიცდის, არ მოვა წყვდიადი,
იღბალზე აუგი, ეს მართლაც ჭორია, დრო განვლეთ
დარდის და დრო დაგვრჩა დიადი.
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ,
ამ გულში არ მინდა, არ მინდა სხვა ზღვარი,
მითხარი, ძვირფასო, რომელი მზისა ხარ,
ვფიქრობ მანდ იწყება სამყაროს საზღვარი.

„ნაცების“ რევანშისტული პოლიტიკის გაგრძელება და სახელისუფლებო გუნდის მთავარი გამოწვევა

მთავარი ოპოზიციური ძალის მიზანი უცვლელია, რაც შეიძლება არიონ ქვეყანა წინასაარჩევნოდ და შემნან პოლიტიკური ამინდი, რომელიც გამოიწვევს ერის აჯანყებას. რაც მთავარია დესტაბილიზაციამ მიიღოს მასიური ხასიათი, გადაიზარდოსუმართავ პროცესებში. ასეთი ამინდი იმ პოლიტიკურ კლიმატს წარმოქმნის, რომელიც მათ განზრახვას ხორცს შეასხამს...

და რატომ წინასაარჩევნოდ? უფრო მეტი ეფექტის მისაღებად? როგორც ჩანს მთავარი ოპოზიციური ძალა „სხვანაირად“ მოემზადა არჩევნებისთვის... რას ეფუძნება მათი ასეთი „თავგანწირული“ შემართება? მართლა სტკივათ გაჭირვებული მოსახლეობის სატკივარი თუ ეგზალტირებული ხალხი შეუცვლელი იარაღია ხელისუფლების შესაცვლელად? მგონი იმას არც ხელისუფლება უარყოფს, რომ გაჭირვებული ხალხი ისევ არსებობს ქვეყანაში და ამ არასასიამოვნო რეალობას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მოიაზრებს. მაგრამ სად ჩანს ამის აღმოსაფხვრელი სამოქმედო გეგმა? (ყოველ შემთხვევაში ახლა) გაუმაგრა თუ არა პოზიციები თავისივე დაშვებული შეცდომებით მთავრობამ, მთავარ ოპოზიციურ ძალას და შეუქმნა ნოყიერი ნიადაგი, განახორციელოს რევანშისტული სვლები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად?..

რისთვის აირჩია დღევანდელი ხელისუფლება ერმა? მგონი იმ მიზნით, რომ მთლიანად აღმოფხვრილიყო ის გამოწვევები და ამავდროულად თუ გინდ შეცდომები დავარქვათ, რასაც „ნაცებმა“ თავი ვერ გაართვეს ხომ? და დღეს რა სინამდვილეა, ისევ იმ გამოწვევებზეა საუბარი და წერტილი ვერ დაესვა... ხალხის ინტერესის უგულებელყოფამ სერიოზულ ჩიხში შეიყვანა ხელისუფლება... ნეგატივმა, რომელიც დაგროვდა ზოგიერთი ჩინოვნიკის წყალობით, დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა ქვეყანა. თუ დემოკრატია გვინდა და ვიზიარებთ იმ რეკომენდაციებს, რომელსაც ჩვენი უცხოელი კოლეგები გვთავაზობენ, მაშინ რატომ ვუვლით გვერდს ხალხის ინტერესებს? ხალხის არჩეული ხელისუფლება მთლიანად ხალხის სამართლიან ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა ზოგიერთ მადას გადაყოლილი ჩინოვნიკის კაპრიზებს.

ახლა რატომ უქმნის მთავრობა ნიადაგს მთავარ ოპოზიციურ ძალას, მოახდინოს ძალების მობილიზაცია და გადავიდეს რევანშზე? მგონი ეს ერთ-ერთი აქტუალური კითხვათაგანია, რომელიც ერს აინტერესებს, ერს, რომლისთვისაც მიუღებელი იყო წინა მთავრობის პოლიტიკა და „ქართულ ოცნებას“ მიანდო იმ რეფორმების გატარება, რომელსაც წესით ქვეყანაში ყველა პრობლემა უნდა აღმოეფხვრა, რომელიც მიუღებელი იყო ხალხისათვის...

დღეს კი რა მივიღეთ? რატომ იხედება მოსახლეობის ნაწილი ისევ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისაკენ? დღევანდელი მთავრობა არ აღმოჩნდა მათზე უკეთესი? თუ იმ ჩიხში, რომელშიც ქვეყანა მოექცა „ნაცებს“ შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა და ჩიხიდან გამოყვანა? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ გარემოებას, რომ სხვა ახალი ძალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში უბრალოდ არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ყველამ კარგად იცის, ეს ძალა (ყოფილი სახელისუფლებო გუნდი) თითქოს ჩრდილში იყო მოქცეული, დღეს კი... რა ხდება? რამ შეცვალა ასე პოლიტიკური ვექტორი? მთავრობამ ხალხისათვის ბოლომდე ვერ მოიცალა? თუ იმ სტრუქტურული რეფომების არგატარების ბრალია, რომელმაც მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ გარკვეული უკმაყოფილება დააგროვა? დროა ეს ხელისუფლება კარგად დაფიქრდეს და რეფორმების ფონზე გაატაროს ის პროგრესული პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს.

ვფიქრობ, ქართველი ერი გონიერია და, მიუხედავად „ოცნების“ ხელისუფლების სერიოზული შეცდომებისა, არ დაუშვებდა საძულველი „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას საქართველოში.

ასეც მოხდა...

საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა.

ზინაიდა უძილაური



თემურ აბულაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თემურ იოსების ძე აბულაშვილი.

ქართულ სამწერლო ოჯახს გამოაკლდა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც მისი დიდი წინამორბედების მსგავსად მთელი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა სათნოების, სიკეთის, კაცთმოყვარეობის წმიდათაწმიდა იდეალებს და თავის საუკეთესო ნაწარმოებებში ამკვიდრებდა იმ სტანდარტებს, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ლიტერატურისთვისაა ნიშანდობლივი...

თემურ იოსების ძე აბულაშვილი დაიბადა 1947 წლის 31 მარტს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. 1965 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1970 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი გახდა, რომელიც 1977 წელს დაამთავრა.

თემურ აბულაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა „თბილწყალსადენის“ სამმართველოს კონტროლიორად, გაზეთ „ახალი მარნეულის“ რედაქციის მთარგმნელად, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური რესპუბლიკური სადგურის მეთოდისტად, სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერო დარბაზის სახანძრო დაცვის დისპეტჩერად, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტად, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ რედაქტორად და ყველგან პროფესიონალიზმით, სიკეთით, მოყვასის სიყვარულით ხიბლავდა ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობა უხდებოდა...

თემურ აბულაშვილი ქართველ მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, ვისი ლიტერატურული დებიუტიც 1974 წელს თელავში ჩატარებულ ახალგაზრდა მწერალთა თათბირ-სემინარზე შედგა. მან ლიტერატურულ სამყაროს თავი დაამახსოვრა, როგორც თვითმყოფადმა, ორიგინალური ხელწერის მქონე ბელეტრისტმა. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები — მოთხრობები, ნოველები, პიესები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, იდგმებოდა თეატრების სცენაზე, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

თემურ აბულაშვილის შემოქმედებას ცხოვრების ღრმა ცოდნა, ორიგინალური ხელწერა, ლიტერატურულ პერსონაჟთა სულიერი პორტრეტების სიღრმისეული ჩვენება გამოარჩევს. ეს არცაა გასაკვირი. იგი მწერლობაში ხომ სოფლიდან, ქართული სულიერებით, ქართული სალოცავებით ჩაკირული სოფლიდან მოვიდა და მიწის, ვაზის სიყვარული და მოვლა-პატრონობა წიგნებიდან თუ ფილმებიდან არ უსწავლია. დაბადებიდან სისხლში ჰქონდა კოდირებული და ამიტომაც იყო ასე მართალი, ასე დამაჯერებელი, ასე უტყუარი, როდესაც სოფელს აღწერდა, ქართველი გლეხკაცის ოჯახის ავკარგს, მის მადლსა და მირონს, ალაზნის ველის ჟრუანტელისმომგვრელ სილამაზეს გვაზიარებდა.

ამიტომაც შეიყვარა ქართველმა მკითხველმა მისი პროზაული კრებულები („ჩიტები უფასოდ“, „ველის ხარი“, „გზა ვარსკვლავეთისაკენ“, „მდინარეს მიაქვს ამბავი“, „1992 წლის ფეხბურთი“), შეიყვარა იმიტომაც, რომ მათში წამოწეულია დღევანდელობის უმწვავესი მორალურ-ეთიკური პრობლემები, მკაცრად, დაურიდებლად, შეულამაზებლადაა ნაჩვენებული XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის საქართველო...

თემურ აბულაშვილის პიროვნებაში პროზაიკოსს ჰარმონიულად ერწყმოდა ჩინებული დრამატურგი, რომლის პიესები დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. ეს პიესები („წეროს გუთანი უბია“, „სიცოცხლემისჯილი ტყვე“, „დღესასწაული თეთრი მაიმუნის სამეფოში“) მათი ავტორის მრავალმხრივი ნიჭიერების მშვენიერი გამოვლინებაა. თემურ აბულაშვილი ხომ დრამატულ ხასიათთა შექმნის ოსტატი იყო და უაღრესად გამძაფრებული ჰქონდა თეატრალური ხედვა: რელიეფურად ძერწავდა გმირებს, ძერწავდა მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მეტყველებით და ქცევებით. ყოველივე ამას თუ დავმატებთ ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, ფრაზის მოქნილობას, ჭეშმარიტი მხატვრის თვალს, გასაგები გახდება მწერლის წარმატებების საიდუმლო.

თემურ აბულაშვილის კალამს ეკუთვნოდა მრავალი მხატვრული ნარკვევი და პუბლიცისტური სტატია...

მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა უკრაინულ, თურქმენულ, სომხურ, რუსულ, მოლდავურ ენებზე.

თემურ აბულაშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის (სამგზის), გამომცემლობა „ლომისის“, გიორგი შარვაშიძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ თემურ აბულაშვილი, დიდებული შემოქმედი და მამულიშვილი, რომელიც მუდამ სამშობლო ქვეყნის გადარჩენაზე ოცნებობდა და ამ ოცნებით აღესრულა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ახალი წიგნები



საქართველოს მწერალთა კავშირი და “მწერლის გაზეთი” ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბონდო არველაძის მეუღლე

რუსუდან კუსრაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და “მწერლის გაზეთი” ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერლის რევაზ ინანიშვილის მეუღლე

როზა ინანიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ეროვნული გზეთი
№9
ფასი 1 ლარი
15 დეკემბერი - 15 იანვარი
2018
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან
მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009